20/173

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 20 კაპ.

სალიტერატურო გაზეთი

1932
12 ივლისი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გაზეთი

№ 16

ყრილობის შედეგებისათვის

დამთავრდა საქ. საბჭოთა მწერლების საგანგებო ყრილობა. ყრილობამ მოისმინა ამხ. **გ. ყურულაშვილის** ვრცელი მოხსენება საქ. კ.პ. (ბ) ცეკას 23 აპრილის დადგენილებისა და საქ. საბჭოთა მწერლობის ამოცანების შესახებ.

ყრილობის მუშაობა წარიმართა ყველა ჩვენი ძალების მობილიზაციის ნიშნის ქვეშ ცეკას ისტორიული დადგენილების განხორციელებისათვის.

მომხსენებელმა გაარკვია ცეკას დადგენილების უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა სალიტ. - სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის საქმეში, იმ გრანდიოზულ მიღწევათა ფონზე, რომელიც ჩვენ გვაქვს სოციალისტური მშენებლობის ყოველ დარგში. ეს მიღწევები ჩვენი ქვეყნის მშრომელ მასებმა მოიპოვეს ამხ. სტალინის მეთაურობით საქ. კ.პ. (ბ) ცეკას ლენინური პოლიტიკის გატარების საფუძველზე ბრძოლაში კლასობრივ მტერთან და მის აგენტურასთან — მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმთან, ბრძოლაში კონტრევოლიუციონურ ტროცკიზმთან.

ცეკას დადგენილება, როგორც ეს აღნიშნა მომხსენებელმა, ორგანიულადაა დაკავშირებული იმ სოციალ - კლასობრივ ძვრებთან, რომელთაც ჩვენს სინამდვილეში აქვთ ადგილი. სოციალისტური მშენებლობის ძლევამოსილმა მსვლელობამ გამოიწვია ძველი ტეხნიკური ინტელიგენციის შემობრუნება საბჭოთა ხელისუფლებისაკენ. ლიტერატურის დარგში ეს შემობრუნება გამოიხატა საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე მდგარ მწერალთა ფართო კადრების აქტიური მონაწილეობის სახით სოციალისტურ მშენებლობაში. ეს პროცესები მოითხოვდა სალიტ.-სამხატვრო ორგანიზაციათაგან სხვაგვარ მიდგომას საბჭოთა მწერლების კადრებისადმი, მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გადახალისებას, ახალ ამოცანებთან დაკავშირებით, ისე როგორც ეს მოცემულია ამხ. სტალინის ისტორიულ სიტყვაში სამეურნეო მუშაკთა თათბირზე, რომელიც შეეხება არა მარტო სამეურნეო ორგანიზაციათა საქმიანობას, არამედ სოციალისტური მშენებლობის ყოველ დარგს, მათ შორის იდეოლოგიურ სფეროსაც, კერძოდ კი — ლიტერატურას და ხელოვნებას.

მიუხედავად პარტიის მრავალი მითითებისა, სალიტერატურო ორგანიზაციებმა უაღრესად დააგვიანეს მუშაობის გარდაქმნა, ვერ გააკეთეს აუცილებელი დასკვნები ამხ. სტალინის სიტყვიდან. ცეკას დადგენილება წარმოადგენს ახალი ამოცანებისა და ახალ ფორმებისადმი ამ შემობრუნების მოთხოვნილების გამოხატულებას საბჭოთა ხელოვნების მთელს ფრონტზე. თუ გუშინ მიზანშეწონილი იყო განსაკუთრებული პროლეტარულ სალიტ. ორგანიზაციათა არსებობა, დღეს კი ისინი გადაიქცენ შემდგომი განვითარების, წინსვლის შემაფერხებელ ფაქტორად. ამიტომ აუცილებლად საჭირო შეიქნა სალიტერატურო ორგანიზაციათა ძირეული გარდაქმნა, პროლეტ. მწერალთა ასოციაციის ლიკვიდაცია, საბჭოთა მწერლების ახალ, ერთ მთლიან ორგანიზაციაში გაერთიანება.

მომხსენებელი საკმაოდ ფართოდ შეეხო იმ მიღწევებს, რომელიც ჩვენ გვაქვს ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში. გაიზარდენ და მომწიფდენ პროლეტარული ლიტერატურის კადრები. მაგრამ ამავე დროს საქ. პროლეტ. მწერალთა და საბჭ. მწერალთა ფედერაციის მუშაობას ახასიათებდა უაღრესად დიდი დეფექტები. ადგილი ჰქონდა ჯგუფური კარჩაკეტილობას, არაობიექტურ კრიტიკის ელემენტებს, იდეურ აღმზრდელობით მუშაობის ადმინისტრატიულობით შეცვლას, მოწყვეტას თანამედროვეობის აქტუალური ამოცანებიდან, უხეშ თეორიულ, პოლიტიკურ შეცდომებს, განსაკუთრებით უხეში პოლიტიკური შეცდომები იყო დაშვებული თანამგზავრებთან დამოუკიდებლების საკითხში, რამაც უმთავრესად თავისი გამოხატულება ჰპოვა ლოზუნგში — „ან მოკავშირე, ან მტერი“. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ამხანაგი პროლეტარული მწერლობის ასოციაციიდან ცეკას დადგენილების შემდეგაც განაგრძობდა ძველ პოზიციებზე დგომას თანამგზავრობის საკითხში. მომხსენებელი ამ დებულებას ასაბუთებს კონკრეტული მაგალითებით ჩვენი ლიტერატურული ცხოვრებიდან.

ცეკას დადგენილება ყველა პირობებს ჰქმნის იმისათვის, რომ სათანადო მასშტაბით განვითარდეს ლიტერატურა, ხელოვნება. მწერლის საზოგადოებრივ - პოლიტიკური საქმიანობა უნდა განისაზღვრებოდეს შემოქმედებითი მუშაობით და არა სხდომების რაოდენობით. ცეკას დადგენილების განხორციელება მოითხოვს ადმინისტრატიულობის, ჯგუფობრიობის ძირშივე მოსპობას. უნდა გაიშალოს ბოლშევიკური თვითკრიტიკა ბოლომდე, რათა სავსებით და მთლიანად ვამხილოთ დაშვებული შეცდომები. ხელი, უნდა შეუწყოთ შემოქმედებითი შეჯიბრის გაშლას მწერალთა შორის, მაგრამ იმ სახით „შემოქმედებითი“ ჯგუფების დატოვება, როგორაც დღემდე ისინი არსებობდენ, ყოვლად შეუძლებელია. ეს „შემოქმედებითი“ ჯგუფები აშკარა ჯგუფობრიობის ბუდედ გადაიქცენ.

მომხსენებელი განსაკუთრებით ჩერდება კრიტიკის საკითხებზე. უაღრესად სუსტია ჩვენი კრიტიკის აღმზრდელობითი როლი. იმის მაგიერ, რომ კრიტიკა დაეხმაროს მწერალს, გამოასწოროს ესა თუ ის შეცდომა, აღზარდოს მკითხველში ლიტერატურულ - მხატვრული გემოვნება, იგი აბნევს როგორც მწერალს, ისე მკითხველს. ჩვენში განსაკუთრებით დაბალია კრიტიკოსთა კადრების თეორიული დონე. მარქსისტულ-ლენინური კრიტიკა კი უნდა დაეხმაროს ლიტერატურას განახორციელოს ის დიდი პოლიტიკური ამოცანები, რომელსაც მის წინაშე პარტია აყენებს.

როგორც მოსალოდნელი იყო, მოხსენების გარშემო გაიმართა ცხარე აზრთა გაცვლა - გამოცვლა. ლიტერატურის მემარჯვ. ფრთა გააქტიურდა. ყრილობაზე მათ განავითარეს ისეთი თვალსაზრისი, რომ თითქოს დამყარდა კლასთაშორისი ზავი ლიტერატურაში. მთელ რიგ გამოსვლებში გამოამჟღავნეს ნაციონალისტური განწყობილებანი. როგორც მომხსენებელმა, ისე ყრილობამაც მწვავედ დაარტყა ასეთ განწყობილებებს (ასეთი შეხედულებანი განავითარეს კ. ჭიჭინაძემ, კ. გამსახურდიამ და სხვ.). ცხადია ეს უეჭველად იყო დამახინჯება ცეკას დადგენილებისა. ჩვენ კვლავ დაუნდობელი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ პარტიის ლიტ - პოლიტიკური ხაზის ყოველგვარი დამახინჯების, კლასიური მტრის ყოველგვარი გავლენის წინააღმდეგ. ეს შეურიგებელი იდეური ბრძოლა, რა თქმა უნდა, წარმოებული იქნება უაღრესად პრინციპიალურ, მარქსიზმ - ლენინიზმის პოზიციებიდან. ყურადღების ღირსია აგრეთვე მეორე ტენდენცია, მეორე ხაზი ცეკას დადგენილების დამახინჯებისა, ეს იყო „მემარცხენე„ ვულგარიზატორების გამოსვლა, რომლებიც ასე ბევრს ლაპარაკობენ ბოლშევიკური პარტიულობის შესახებ და თავად კი გარკვევით არაფერი სთქვეს თავიანთ „მემარცხენე“ ხასიათის შეცდომებზე, განსაკუთრებით კი იმ შეცდომებზე, რომლეიც მათ დაუშვეს ცეკას 23 აპრილის დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ (იხ. საქ. კ.პ. (ბ) ცეკას დადგენილება გაზ. „წითელი არმიელის“ ლიტერატურულ დამატების შესახებ). ამხანაგების შეცდომები განსაკუთრებით თანამგზავრობისა და კლასიკოსების საკითხში (ამხ. ნაროუშვილი, შავგულიძე და სხ) სრულად იქნა გაკრიტიკებული კამათში გამოსულ ამხანაგებისა და მომხსენებლის მიერ.

ცეკას დადგენილება განვითარების უდიდეს პერსპექტივებს შლის საბჭოთა მწერლობის წინაშე. საბჭოთა მწერლობის მთავარი ამოცანაა — სოციალისტური ლიტერატურის შექმნა. განსაკუთრებით დიდი ამოცანები იშლება საბჭოთა მწერლების კავშირის წინაშე მეორე ხუთწლედთან დაკავშირებით, რომლის მთავარ პოლიტიკური ამოცანაა კაპიტალისტური ელემენტებისა და საერთოდ კლასების ლიკვიდაცია, უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგება. მწერლობა ამას შესძლებს მარქსიზმ - ლენინიზმის შეთვისებით, აქტიური მონაწილეობის მიღებით ყოველდღიურ ბრძოლაში სოციალიზმისათვის, ჩვენი სინამდვილის სწორ ასახვით.

ორ ფრონტზე ბრძოლის გაძლიერებით, პარტიის ხაზის ურყევი გატარებით,მტრული იდეოლოგიის ყოველგვარ გამოვლენის, ლიტერატურაში კლასობრივი მტრის გავლენების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლით, ჩვენ შევსძლებთ სალიტერ. - სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნას, მის აყვანას მაღალ საფეხურზე. ახლად არჩეულ საბჭ. მწერლების კავშირი და მისი ხელმძღვანელობა შესძლებს მუშაობის გარდაქმნას ცეკას ისტორიული დადგენილების საფუძველზე.

ყრილობის წინა დღეს

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის უკანასკნელი სხდომა შესდგა 26 ივნისს, საღამოს. კომიტეტმა ჯამი გაუკეთა განვლილ მუშაობას და მიიღო პრაქტიკული ღონისძიებები ყრილობის ჩასატარებლად. კომიტეტმა ზოგიერთი შესწორებით დაადასტურა ქვე-კომისიების მუშაობა. დამტკიცებული იქნა საბჭოთა მწერლების კავშირში ჩასარიცხთა მეორე სია.

გარდა ამისა კომიტეტმა გამოყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა ყრილობის ჩატარებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ საკითხების მოგვარება. კომისიაში შედიოდენ ამხ. **ნ. მიწიშვილი, ს. ეული, ს. ჩიქოვანი, რ. გვეტაძე** და **შ. რადიანი.**

იმავე კომისიას დაევალა საბჭოთა მწერლების კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებს გადააბაროს საორგანიზაციო კომიტეტის გამგებლობაში არსებული ყოფ. პრ. მწ. ასოციაციის და საბჭოთა მწერლების ფედერაციის მთელი ქონება, ფინანსები, ჟურნალები, გამომცემლობა და გაზეთი.

ამით დაასრულა საორგანიზაციო კომიტეტმა თავისი მუშაობა.

ყრილობის გახსნა

27 ივნისს, საღამოს, ეგ. ნინოშვილის სახელობის მწერალთა კლუბში გაიხსნა საბჭოთა მწერლების საგანგებო ყრილობა.

ყრილობას დაახლოებით დაესწრო 120 მწერალი გადამწყვეტი ხმის უფლებით, მათ შორის 15-მდე დელეგატი აფხაზეთიდან, აჭარისტანიდან, სამხრეთ-ოსეთიდან და ქუთაისიდან. მწერლების გარდა ყრილობის გახსნას დაესწრენ პარტიულ, პროფესიონალურ და კულტურულ-საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები, ხელოვნების სხვადასხვა დარგის მუშაკები, მუშათა ლიტწრეების წევრები და სტუმრები.

ყრილობა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ამხ. **პ. ჩხიკვაძემ.**

ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში ამხ. **სტალინის, ს. ორჯონიკიძის, ვოროშილოვის, მოლოტოვის, მაქსიმ გორკის, მამია ორახელაშვილის, ფ. მახარაძის და ლ. ბერიას** დასახელებამ გამოიწვია მხურვალე ტაში.

საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ არჩეული იქნა საქმიანი პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: ამხ. **გ. ყურულაშვილი, მ. ტოროშელიძე, ს. ეული, ს. თოდრია, ნ. მიწიშვილი, ა. მამაშვილი, პ. სამსონიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, ნ. ზომლეთელი, პ. ჩხიკვაძე, აკოფ აკოფიანი, ს. ჩიქოვანი, ლეო ქიაჩელი, გ. ტაბიძე; ტ. ტაბიძე; მიხ. ჯავახიშვილი და ს. შანშიაშვილი.** სულ 17 კაცი.

სამდივნოში: ბ. ჟღენტი, რ. გვეტაძე, კ. კალაძე, დია ჩიანელი და ი. აბაშიძე.

სარედაქციო კომისიაში: დ. სულიაშვილი, კონ. ლორთქიფანიძე და იონა ვაკელი.

სამანდატო კომისიაში: ს. კლდიაშვილი, ა. ქუთათელი და ფრ. ნაროუშვილი.

ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოების არჩევის შემდეგ, ყრილობას ხელოვნების მუშაკთა კავშირის სახელით მიესალმა ამავე კავშირის თავმჯდომარე ამხ. **გ. ბუხნიკაშვილი.**

დღის წესრიგის მიღების შემდეგ პირველ საკითხზე—საქ. კ.პ. (ბ) ც.კ. 23 აპრილის დადგენილებისა და მწერლობის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კომიტეტის მდივანმა, ამხ. **გ. ყურულაშვილმა.**

ამხ. გ. ყურულაშვილის მოხსენებას მოუნდა ყრილობის პირველი სხდომა.

ყრილობის გახსნა და მთელი პირველი სხდომის მიმდინარეობა გადაღებული იქნა კინო-ლენტზე.

საქ.საბჭოთა მწერლების კავშირში

საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭო

მეორე სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. **ყურულაშვილის** მოხსენების ირგვლივ. კამათი გრძელდებოდა მესამე და მეოთხე სხდომაზედაც.

მეოთხე სხდომაზე წაკითხული იქნა მისალმებების დეპეშები აზერბეიჯანის და სომხეთის საბჭოთა მწერლებისაგან.

კამათს ჰქონდა ცხოველი ხასიათი და მასში მონაწილეობა მიიღო 40 მწერალზე მეტმა.

მეხუთე სხდომაზე, 29 ივნისს, საღამოს, ყრილობას კ.-კავშირის ცეკას სახელით მიესალმა ამხ. **კ. ჩარკვიანი.**

შემდეგ მოსმენილი იქნა ამხ. **გ. ყურულაშვილის** საბოლოო სიტყვა.

ამავე სხდომაზე საბჭოთა მწერლების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის მუშაობის შესახებ საინფორმაციო მოხსენება გააკეთა ამხ. **პ. ჩხიკვაძემ.**

დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლუცია და მოხდა საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭოს არჩევა.

საბჭოში ყრილობამ აირჩია შემდეგი მწერლები:

ამხ. გ. ყურულაშვილი, ნ. მიწიშვილი, მიხ. ჯავახიშვილი, ს. აბაშელი, ტ. ტაბიძე, გ. ტაბიძე, რ. გვეტაძე, ს. კლდიაშვილი, ნინო ნაკაშიძე; ნიკო ლორთქიფანიძე, ს. ჩიქოვანი, ლ. ქიაჩელი, ი. გრიშაშვილი, ბ. ჟღენტი, ს. შანშიაშვილი, ა. ქუთათელი, პ. იაშვილი, ა. ჭუმბაძე, დ. შენგელაია, მ. ტოროშელიძე, ს. თოდრია, პ. საყვარელიძე, პ. ჩხიკვაძე, დ. დემეტრაძე, ს. ეული, ნ. ზომლეთელი, ბ. ბიბინეიშვილი, ა. მაშაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, პ. სამსონიძე, ს. თალაკვაძე, შ. რადიანი, ფრ. ნაროუშვილი, გ. ბუხნიკაშვილი; ი აბაშიძე, ს. ხუნდაძე, ა. დუდუჩავა, კ. კალაძე, დ. ჩიანელი (ქუთაისიდან), პ. ოზბილი (აჭარისტანი), **ფარნიევი** (სამხრეთ-ოსეთი), **გრიგოლია** (აფხაზეთი), **ატრიანი, მარქარი, ვართანიანი, ასკერი** და **გრებენშჩიკოვი.** სულ 47 წევრი.

სარევიზიო კომისიაში: ა. არ[illegible]აშვილი, გ. ხეჩუაშვილი, ი. ლისაშვილი, დ. სულიაშვილი და კ. მელაძე.

ყრილობამ კავშირის საბჭოს საპატიო წევრებად ერთხმად აირჩია: ამხ. ფ. მახარაძე, ეკ. გაბაშვილი, ან. ერისთავ-ხოშტარია, ე. ზარნოვი და დ. მეგრელიძე.

ამხ. მ. ტოროშელიძე
საბჭოთა მწერლების კავშ. თავმჯდომარე

კავშირის საბჭოს პირველი სხდომა

პირველ ივლისს, საღამოს, ეგ. ნინოშვილის სახ. მწერალთა კლუბში შესდგა საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭოს პირველი სხდომა.

სხდომამ განიხილა საორგანიზაციო საკითხები და აირჩია საბჭოს პრეზიდიუმი, თავმჯდომარე, მისი ორი მოადგილე და მდივანი.

პრეზიდიუმში საბჭომ აირჩია: ამხ. **გ. ყურულაშვილი, მ. ტოროშელიძე, დ. დემეტრაძე, ს. ეული, პ. ჩხიკვაძე, გ. ბუხნიკაშვილი, შ. რადიანი, ა. მაშაშვილი, ბ. ჟღენტი, ნ. მიწიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ლ. ქიაჩელი, რ. გვეტაძე, ს. ჩიქოვანი და ტ. ტაბიძე.**

თავმჯდომარეთ არჩეული იქნა ამხ. **მ. ტოროშელიძე,** თავმჯდომარის მოადგილეებად: ამხ. **ს. ეული და ნ. მიწიშვილი, მდივნად ბ. ჟღენტი.**

პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა

7 ივლისს, საღამოს, ეგ. ნინოშვილის სახ. მწერალთა კლუბში ამხ. **მ. ტოროშელიძის** თავმჯდომარეობით შესდგა საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა.

პირველ რიგში განხილული და დამტკიცებული იქნა კავშირის მუშაობის საორიენტაციო გეგმა, გეგმაში გათვალისწინებულია კავშირის, მუშაობის მთავარი მომენტები მიმდინარე წლის ბოლომდე.

შემდეგ განხილული იქნა კავშირის სტრუქტურის საკითხი. სულ კავშირს ექნება 5 სექტორი: მასიური, საორგანიზაციო, ყოფა-ცხოვრების, საგამომცემლო და საფინანსო - სამეურნეო სექტორი.

კავშირის მუშაობის გასაშლელად საჭირო თანხების გამონახვა დაევალა საფინანსო - სამეურნეო სექტორს ამხ. **მ. ტოროშელიძესთან** ერთად.

ორგსექტორს წინადადება მიეცა დეტალურად დაამუშაოს საკითხი იმის შესახებ, თუ კავშირთან რა სახით და ფუნქციებით უნდა იქნენ ჩამოყალიბებულნი ეროვნულ უმცირესობათა სექციები.

აფხაზეთში, აჭარისტანში და სამხრეთ-ოსეთში მწერალთა ყრილობების ჩასატარებლად, ადგილობრივ მწერალთა კავშირების ჩამოსაყალიბებლად და ამავე მიზნით ქუთაისში მწერალთა კრების მოსაწვევად გამოყოფილ იქნა კომისია ამხ. **ს. ეულის, გ. ბუხნიკაშვილის და ბ. ჟღენტის** შემადგენლობით. მთელი ეს მუშაობა უნდა ჩატარდეს ივლისის ბოლო რიცხვებამდე.

შემდეგ არჩეული იქნა მწერალთა კავშირის ბეჭდვითი ორგანოების სარედაქციო კოლეგიები, სექტორების ხელმძღვანელები, მათი გამგეები და მოხდა სექტორებზე მისამაგრებელ საბჭოს წევრთა ჯგუფებათ დაყოფა.

დასასრულ სხდომამ აუცილებელ საჭიროებად სცნო მწერლების შემოქმედებითი მივლინების საქმის გაფართოება და მისი დაყენება მტკიცე ნიადაგზე. სხდომის დადგენილებით ჯერ-ჯერობით სამრეწველო და სამეურნეო რაიონებში გაიგზავნება 10 მწერალი თითო თვეთ.

კავშირის სექტორები

პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომის დადგენილებით არჩეული იქნენ:

მასიური სექტორის
ხელმძღვანელათ ამხ. **ს. ეული,** გამგეთ —ამხ. **რ. გვეტაძე.**

საორგანიზაციო სექტორის
ხელმძღვანელათ ამხ. **ბ. ჟღენტი,** გამგეთ —ამხ. **მიხ. ჩიქოვანი.**

ყოფა-ცხოვრების სექტორის
ხელმძღვანელად ამხ. **მ. ტოროშელიძე,** გამგეთ—ამხ. **მიხ. ჯავახიშვილი.**

საგამომცემლო სექტორის
ხელმძღვანელად ამხ. **დ. დემეტრაძე,** მდივნად ამხ. **ლ. ასათიანი.**

საფინანსო-სამეურნეო სექტორის
ხელმძღვანელად ამხ. **ნ. მიწიშვილი.** დამხმარეთ—ამხ. **შ. ჭუმბურიძე.**

—:—

სექტორების დამხმარე ჯგუფებში გამოყოფილნი იქნენ:

მასიური სექტორის ჯგუფში:
ს. ეული, რაჟდენ გვეტაძე, ირ. აბაშიძე, გ. ბუხნიკაშვილი, გრ. ცეცხლაძე, ს. შანშიაშვილი, ი. გრიშაშვილი, კ. კალაძე, ფრ. ნაროუშვილი, ს. კლდიაშვილი.

საორგანიზაციო სექტორის ჯგუფში:
ბეს. ჟღენტი, მიხ: ჩიქოვანი, ს: ჩიქოვანი, ტ: ტაბიძე, ა ვართანიანი, კ .ლორთქიფანიძე შ. რადიანი, პ: სამსონიძე, პ: საყვარელიძე, არ ჭუმბაძე,

ყოფა-ცხოვრების სექტ. ჯგუფში:
მ. ტოროშელიძე, მიხ. ჯავახიშვილი, ლ. ქიაჩელი, პ. ჩხიკვაძე, გ. ბუხნიკაშვილი, გ. ყურულაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ნ. მიწიშვილი, ბ. ბიბინეიშვილი, ს. ეული.

საგამომცემლო სექტორის ჯგუფში:
გ. ყურულაშვილი, მ. ტოროშელიძე, დ. დემეტრაძე, შ. რადიანი, შ. დუდუჩავა, ბ. ბიბინეიშვილი, ლ. ასათიანი, ი. ლისაშვილი, ალ. ქუთათელი.

ფინანსიური — სამეურნეო ჯგუფში:
ნ. მიწიშვილი, დ. დემეტრაძე, ს. ეული, შ. ჭუმბურიძე, პ კეშელავა, ვარ. რუხაძე, მიხ. ჯავახიშვილი.

ბეჭდვითი ორგანოების სარედაქციო კოლეგიები

ამავე სხდომაზე არჩეულ იქნა შემდეგი ბეჭდვითი ორგანოების სარედაქციო კოლეგიები:

„მნათობი“

გ. ყურულაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ლ. ასათიანი (რედ. მდივანი), ს. ეული. პ. ჩხიკვაძე, დ. სულიაშვილი, გ. ტაბიძე, ტ. ტაბიძე, ივ. ვაშაყმაძე, სიმ. ჩიქოვანი.

„სალიტერატურო გაზეთი“

დ. დემეტრაძე (პ. მგ. რედაქტორი) რ. გვეტაძე (რედაქ. მდივანი). შ. დუდუჩავა, ს. თალაკვაძე, ნ. მიწიშვილი, ლ. ქიაჩელი, ნ. ზომლეთელი, ბეს. ჟღენტი,

ჟურნ. „საბჭოთა მწერლობა“

შ. რადიანი (პ: რედაქტორი) ალ: ქუთათელი (მდივანი), ფრ. ნაროუშვილი, ს. კლდიაშვილი, პ. სამსონიძე, ალ. მაშაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ი. მოსაშვილი, გ. ბუხნიკაშვილი, კ. კალაძე.

კავშირის საორიენტაციო სამუშაო გეგმა

7 ივლისის გაფართოებულ სხდომაზე საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო კავშირის საორიენტაციო სამუშაო გეგმა. გეგმა შედგენილია 1933 წ. პირველ იანვრამდე.

ამ გეგმის მიხედვით ევალებათ:

მასიური სექტორის ჯგუფში:

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას 23 აპრილის დადგენილებისა და საქართველოს მწერალთა კავშირის საგანგებო ყრილობის შედეგების პოპულარიზაცია როგორც ტფილისში, ისე რაიონებში.

მოხსენებების, საწარმოო თათბირების და დისკუსიების მოწყობა როგორც სასახლეში, ისე მუშათა კლუბებში და სარაიონო ცენტრებში (წინასწარ შედგენილი მტკიცე თემატიური კალენდარული გეგმით).

ოქტომბრის 15 წლის თავის აღსანიშნავ ზეიმში მონაწილეობის მიღება.

ლიტწრეების ჩამოყალიბება ტფილისის რამდენიმე ძირითად მსხვილ წარმოებებში და ლიტერატურაში გაწვეულ დამკვრელ მუშებთან მეცადინეობა.

ლიტერატურული კონსულტაციის მოწყობა ახალი კადრებისათვის.

მწერალთა საკლუბო მუშაობის გადახალისება.

რადიოსთან კავშირი.

მონაწილეობა ქარხნების ისტორიის შედგენაში.

მონაწილეობა სამოქალაქო ომის ისტორიის შედგენაში.

საორგანიზაციო სექტორს

კავშირის აპარატისა და საქმეთა მმართველობის ჩამოყალიბება.

კავშირთან ეროვნულ უმცირესობათა სექციების ჩამოყალიბება.

კავშირის განყოფილებების ჩამოყალიბება ავტონომიურ ერთეულებსა და ქუთაისში.

მეზობელ რესპუბლიკების სალიტერატურო ორგანიზაციებთან კავშირის დამყარება.

მწერალთა ბიბლიოთეკის გაფართოება.

მწერალთა კავშირის წესდების დამუშავება.

მწერალთა კავშირის აღრიცხვის დამთავრება ძირითადში როგორც ადგილებზე ისე ტფილისში.

საქ. მწერალთა ორგკომიტეტში მონაწილეობა და საკავშირო მწერალთა ყრილობაზე მონაწილეობა.

ყოფაცხოვრების სექტორს

სესხ-ამხანაგობის ჩამოყალიბება, სათანადო კრედიტების გამოძებნა და სხვა ღონისძიებათა ჩატარება ბინებით მწერლების უზრუნველყოფის მიზნით.

მწერალთათვის დახურულ განმანაწილებლის დაარსება და მომარაგების საკითხების მოგვარება.

საზაფხულო და საზამთრო კურორტებზე მწერალთა გაგზავნის საქმის მოგვარება.

მწერლების გაგზავნა სისტემატიურად შემოქმედებითი მივლინებებში და მათი კონტრაქტაციის ორგანიზაცია.

საგამომცემლო სექტორს

გამომცემლობა „ფედერაცია“-ს მუშაობის გარდაქმნა.

ჟურნ. „პრ. მწერლობა“-ს ნაცვლად ჟურნ. „საბჭოთა მწერლობა“-ს გამოცემის ორგანიზაცია.

კავშირის ბეჭდვითი გამოცემათა გავრცელების საქმეზე ზრუნვა.

სახელგამთან ურთიერთობის გაძლიერება.

ქართული ლიტერატურის ნიმუშების სხვა ენებზე თარგმნა და გამოცემა.

საფინანსო სამეურნეო დარგს

ბიუჯეტის შედგენა და სათანადო თანხების გამონახვა მიმდინარე წლის დასასრულამდე და მომავალი წლისათვის, მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვის შედგენა და სათანადო ორგანოებთან შეთანხმება.

კავშირის ქონების აღრიცხვა, მოვლა და პატრონობა.

კავშირის განკარგულებაში მყოფ სახლების შეკეთება და ამისათვის სათანადო თანხების გამონახვა.

ლიტერატურული ფონდის დაარსება.

გამომცემლობა „ფედერაცია“-ს მუშაობაზე მეთვალყურეობა.

სექტორებს დაევალათ ამ საორიენტაციო გეგმის მიხედვით და მის საფუძველზე დაჩქარებით დაამუშაონ დეტალურად თავიანთი სამუშაო გეგმა და შეუდგენ პრაქტიკულ მუშაობას.

საქ. საბჭ. მწერლების საგანგებო ყრილობა

კამათი ამხ. გ. ყურულაშვილის მოხსენების გარშემო

27 ივლისს, საღამოს, ეგ. ნინოშვილის სახელობის მწერალთა კლუბში გაიხსნა საბჭოთა მწერლების საგანგებო ყრილობა, რომელზედაც ამხ. გ. ყურულაშვილმა წაიკითხა მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტის 23 აპრილის დადგენილებისა და მწერლობის ამოცანების შესახებ,

ამხ. გ. ყურულაშვილის მოხსენების სტენოგრაფიულ ანგარიშს მოვათავსებთ შემდეგ.

ყრილობის გახსნის მეორე დღეს, 28 ივლისს, დილის სხდომაზე დაიწყო კამათი მოხსენების გარშემო.

28 ივნისის დილის სხდომა

დ. ჩიანელი: 23 აპრილის დადგენილება მეტად მნიშვნელოვანი დადგენილებაა. იგი სერიოზულ გარდატეხას ახდენს მხატვრულ პოლიტიკაში. ეს ისეთი დადგენილებაა, რომ მწერლისათვის, მე მგონია, ეს არის საორიენტაციო გეგმა შემდეგი ხუთწლედისა იმ მხრივ, რომ გაიშალოს სოციალისტური მხატვრული კულტურა. საჭიროა ამ დადგენილების ურყევად გატარება ცხოვრებაში და ამას პირველ რიგში მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს პარტიის წარმომადგენელმა მწერალთა კავშირში—კომუნისტურმა ფრაქციამ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გვექნება ისეთივე დამახინჯება, როგორიც გვქონდა წარსულში.

მთავარი საკითხია — დამოკიდებულება თანამგზავრებთან ამ დადგენილებაში გარკვევით არის ნათქვამი, რომ უნდა არსებობდეს თავისუფალი შეჯიბრება, ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ ამხანაგური დამოკიდებულება თანამგზავრებისადმი. მაგრამ თქვენ კარგათ იცით, რომ ეს პუნქტი ხშირად ირღვეოდა და ის დამოკიდებულება, რომელიც უნდა ყოფილიყო თანამგზავრების მიმართ, არ არსებობდა. ამაში ბრალი მიუძღოდა ზოგიერთ კრიტიკოს, რომლებიც ბევრს ყვიროდნენ პარტიის ხაზის შესახებ, ბევრ რეზოლუციას სწერდნენ ამ საკითხზე, მაგრამ ცხოვრებაში არ ატარებდნენ ამ რეზოლუციებს.

შემდეგ მთავარი საკითხია-კრიტიკის საკითხი. ამ დარგში მრავალ დამახინჯებას ჰქონდა ადგილი. იყო ჯგუფობრიობა, [illegible] ხიშტში რომელიმე მწერალს და ყოველგვარ ზომებს მიმართავდნენ მის გასანადგურებლად ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ჯგუფობრიობა ძირიანად უნდა აღიკვეთოს.

თუ ეს ამბავი იყო ცენტრში, ადვილი წარმოსადგენია რა იქნებოდა პროვინციაში, ქუთაისში, მაგალითად. არავითარი ყურადღება არ ექცეოდა პარტიის პოლიტიკის გატარებას. ხშირად ადგილი ჰქონდა ადმინისტრატიულობას და ისეთ ადმინისტრატიულობას, რომელიც დაუჯერებელი არის ზოგიერთ შემთხვევაში. იქ უპარტიო მწერლებთან მქონდა ამ საკითხზე საუბარი და ისინი ჩივიან, რომ უპარტიო მწერლებს არა ამხანაგურად გვეპყრობიან პროლეტარული მწერლები, მაგრამ ეს არა ამხანაგური დამოკიდებულება იყო არა მარტო უპარტიო მწერლებისადმი, არამედ პარტიული მწერლების მიმართაც.

დასასრულ, ქუთაისს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ 23 აპრილის დადგენილების საფუძველზედ გარდაქმნას თავის მუშაობა, ეს კი შესაძლებელია მაშინ, თუ მას მიეცემა საშუალება გამოსცეს თავისი ჟურნალი ან ალმანახი, რათა იქ თავი მოიყაროს ისეთმა მწერლებმა, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე დგანან და ხელს უწყობენ სოციალისტური კულტურის შექმნას.

კ. [illegible] საქ. კ.პ. ცკას დადგენილებაში არის ერთი დიდი მომენტი. ეს არის ბრძოლა კვალიფიკაციისათვის, წინად მოცემული იყო სტანდარტი. ... ამხ. სტალინის სიტყვა, რომ დაიბეჭდა გაუპიროვნების წინააღმდეგ, მოულოდნელი იყო, რომ ამ გაუპიროვნების ლიკვიდაცია უსათუოდ მწერლობაშიც მოხდებოდა. და ასეც მოხდა. შეჯიბრებას მოელის გაშლა. შეჯიბრება, როგორც ამხ. ყურულაშვილმაც აღნიშნა, აუცილებელი პირობაა მწერლობის განვითარებისათვის, შეჯიბრების გარეშე ყოვლად წარმოუდგენელია მწერლობა. შეჯიბრება დახშულია ბურჟუაზიულ ქვეყნებში. თქვენ ევროპაში კარიერას ვერ გაიკეთებთ, თუ არ გაქვთ ბევრი ფული და არ გყავთ ნათლიები. აი ამას უნდა ჩაუფიქრდეს ყოველი ჩვენთაგანი. ცკას დადგენილება გვაძლევს საშუალებას ფართოდ გავშალოთ შეჯიბრება და ავსწიოთ მწერლის კვალიფიკაცია.

ჩვენ გვინდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მთლიანად განახორციელოს ხუთწლიანი გეგმა, ჩვენ გვინდა რომ ჩვენმა ხელისუფლებამ შესძლოს დაამთავროს კაპიტალური მშენებლობა ჩვენს მოღვაწეობაში. მე მინდა, რომ საბჭოთა საქართველო იყოს ძლიერი მატერიალური და სულიერი კულტურით. მე მინდა, რომ საქართველოს ხაზინა იყოს მდიდარი.

მე მინდა, რომ საკავშირო კომუნისტური პარტიის ცკას დადგენილება იყოს ნიშანი ჩვენდამი ნდობისა.

ჩვენ ვდგევართ საბჭოთა საქართველოს კულტურულ აღორძინების რიგებში და არამც და არამც არ ვიქნებით იმ ხალხის მხარეზე, რომელიც პარიზის ქუჩებში იარაღს ალესინებს თეთრ ემიგრაციას.

კ გამსახურდია ანვითარებს მთელ რიგ შემცდარ შეხედულებებს, რაიც სასტიკად იქნა გაკრიტიკებული.

გ. ხუჩუაშვილი: ნათქვამია—ძაღლმა კბენა არ იცოდა და კაცმა ასწავლაო. მაიძულებს და მეც ვჩივი. არ ვარგა საკუთარ თავზე წუწუნი, მაგრამ მარტო მე არ მეხება ეს ამბავი.

რამდენიმე წლის წინად დავწერე წიგნი „ბარიკადები". თემად ავიღე ნიკოლოზის ხანა, მენშევიკების ხანა და საქართველოს გასაბჭოება. ხელთნაწერი მოწონებული იქნა მრავალ ინსტანციაში, ბოლოს ის სტამბასაც გადაეცა, მაგრამ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ძველი ხელმძღვანელობის წყალობით მის ბეჭდვას არაფერი ეშველა.

ეხლა მე შევეხები კრიტიკას, მე დავწერე პატარა ლექსი. რადგანაც ჩემი ნაწერები უფრო გლეხობაში მიდის, ამიტომ ის ლექსი გლეხური არის. ამ ლექსის შესახებ სთქვეს, რომ აშუღური ლექსია და არ დაიბეჭდებაო. ამის შემდეგ რა ხალისით უნდა ვწეროთ ჩვენ მუშა-მწერლებმა.

პ. ჩხიკვაძე: საქ. კ.პ. (ბ) ცკას 23 აპრილის დადგენილება ბევრ ახალ ამოცანებს სახავს მწერლობის წინაშე. ნურავის გონია, თითქოს ეს დადგენილება იყოს მხოლოდ ორგანიზაციული ხასიათის დადგენილება და მას არ ქონდეს უაღრესად დიდი მნიშვნელობა მთელი ჩვენი მომავალი მუშაობის გარდაქმნისა და მწერლობის ახალ ეტაპზე აყვანისათვის.

პროლეტარული მწერლობის კადრები და საერთოდ საბჭოთა მწერლობა იმდენად გაიზარდა, რომ მიმდინარე ეტაპზე პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ცალკე ორგანიზაციის არსებობა უკვე ზედმეტი შეიქნა.

მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ აქ რაღაც კლასობრივი ზავი დამყარდა და მომავალში არავითარი დიფერენციალური მიდგომა აღარ იქნება მწერლებისადმი. ამავე დროს ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ის ულტრა-მემარცხენე დამოკიდებულება, ზოგჯერ კი სრულიად მემარჯვენე მიდგომა, რომელიც პროლეტარულ მწერლობის ასოციაციის წარსულ ხელმძღვანელობას ახასიათებდა, ლოზუნგი „მტერი ან მოკავშირე", ეს შემცდარი ლოზუნგი იყო. მწერლების წინაშე დასმული იყო საკითხი თუ ხარ რევოლუციონერი და მოკავშირე— ჩვენთან იქნები. თუ შენ ვერ დაგიპყრია დიალექტიური მატერიალიზმის მეთოდი, თუ შენ ვერ მოსულხარ მთლიანად საბჭოთა ხელისუფლებასთან—შენ მტერი ხარ. რა თქმა უნდა ეს იყო „მემარცხენე" ნახტომი, რომლის წყალობით საშუალება ესპობოდა თანამგზავრ მწერალს გადმოედგა გაბედული ნაბიჯი ჩვენთან დასაახლოვებლად.

ამხ. ყურულაშვილმა მოხსენებაში ხაზი გაუსვა ერთ გარემოებას—თუ როგორ ადმინისტრატიულ ზომებს მიმართავდა ასოციაციის ხელმძღვანელობა, რომ მწერალთა ორგანიზაციის შიგნით მოესპო კლასობრივი განხეთქილება. მე ვლაპარაკობ მწერლების წმენდაზე. რუსეთის სინამდვილეში წმენდა არ ჩატარებულა. ეს მოხდა მხოლოდ საქართველოში მაშინდელი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელ ამხანაგების დასტურით და ასოციაციის მეთაურის ბენიტო ბუაჩიძის უშუალო ხელმძღვანელობით.

მე ხაზს უსვამ იმ გარემოებას, რომ ცეკას დადგენილების შემდეგაც ზოგიერთმა ჩვენმა ამხანაგმა დაუშვა „მემარცხენე" შეცდომები ცალკეულ მწერლების შეფასების საქმეში. ასეთი შეცდომა მოუვიდა ერთ ჩვენს ახალგაზრდა კრიტიკოსს ამხ. შავგულიძეს როდესაც აცხადებდა, რომ ნ. მიწიშვილი ლეგალური მენშევიკიაო, ან როდესაც მას სვამდა სეით დევდარიანის და ივანე გომართელის გვერდით. გომართელის მენშევიკურ კონცეპციაში ჩვენ ეჭვი არ გვეპარება. მისი „სამი დროება", რომელიც გამოცემულია სახელგამის მიერ, უთუოდ მენშევიკური მსოფლმხედველობით დაწერილი რომანია. ჩვენ ამაზე არ ვდაობთ, მაგრამ „ეპოპეია", რომ მენშევიკური ნაწარმოები არ არის—ეს ფაქტია. „ეპოპეია"-ში ნაციონალისტური მოტივები საკმაოდ მოიპოვება. ჩვენ ამას არ უარვყოფთ. მიწიშვილს აქვს მთელი რიგი შეცდომებიც, მაგრამ რომ ძირითადად წიგნი მიმართულია მენშევიკურ ემიგრაციის წინააღმდეგ—ამ დამსახურებას მას ვერავინ წაართმევს.

ასევე შეიძლება ითქვას მიხ. ჯავახიშვილის შემოქმედებაზე. უკანასკნელი მისი ნაწარმოები „არსენა მარაბდელი" ჯერ დასრულებული არ არის და არ შეგვიძლია საბოლოო აზრი ვიქონიოთ მის შესახებ, მაგრამ ჟურნალებში მოთავსებულ ნაწყვეტების მიხედვით შემიძლია ვთქვა, რომ „არსენა მარაბდელში" მიუხედავად იმისა, რომ ის ნაციონალისტური ხედვით არის დაწერილი, არ შეიძლება სოციალური დიფერენციაციის ზოგჯერ მძლავრ ადგილებსაც არ მივაგნოთ. აი გლეხობის და თავადაზნაურობის, არისტოკრატიისა და მოხელეების დაპირისპირება, რომელიც მოცემულია ნაწარმოებში არ შეიძლება არ ლაპარაკობდეს იმის სასარგებლოდ, რომ ჯავახიშვილი სიმპატიურად არის განწყობილი გლეხობისადმი. ეს, ვფიქრობ, უკვე გარკვეული ნაბიჯი არის წინ.

აქ ილიაზე იყო ლაპარაკი. კ. გამსახურდიამ ილია ჭავჭავაძე უსუსურ რამედ წარმოადგინა, რომ მას პოლიტიკის არაფერი გაეგებოდა. პოეტურად იყო განწყობილი პოლიტიკისადმიო და სხვ. ეს შეცდომა კი არ არის, ეს არის ამ დიდი ბუმბერაზი პოლიტიკური პორტრეტის ფარდით ჩამობნელება, როგორიც უთუოდ იყო ილია. თუ ის ძლიერი იყო შემოქმედებაში, პოეტურ აღმაფრენაში, ის გაცილებით უფრო ძლიერი და ჭკვიანი იყო როგორც პოლიტიკოსი. ილიას პოლიტიკოსობა სჩანს არა მარტო პუბლიცისტურ ნაწარმოებებში, არამედ ყოველ მის ლექსში, მისი მწერლობის ყოველ ცალკეულ ნიმუშებში. „ქვათა ღაღადი" უაღრესად პოლიტიკური ნაწარმოებია, იმ დროისათვის ეპოქალური ნაწარმოებია. აქ, რომ გამსახურდია უშვებს უხეშ შეცდომას ილია ჭავჭავაძის შეფასებაში. მაგრამ ძნელია ძალიანაც გადეკეთდე, გადახალისდე, გამოიცვალო მსოფლმხედველობა ასე ჩქარა. მე ეჭვი არ მეპარება, რომ გამსახურდია დღეს სრულიად გულწრფელად ლაპარაკობდა ჩვენი მშენებლობის მიღწევებზე, ის გულწრფელად ამბობდა, რომ მე მეზიზღება ბურჟუაზიული სისტემაო და სხვ.

გამსახურდიამ სთქვა: მე მიყვარს საბჭოთა საქართველო, საქართველოს სახელმწიფო ხაზინა, საქართველოს ფაბრიკა-ქარხნები და ქართული სიმდიდრეო. სოციალისტური მშენებლობის შესვეურნი არ ფიქრობენ მარტო ქართულ კულტურაზე, მარტო ქართულ სიმდიდრეზე. ისინი აგრეთვე ფიქრობენ აზერბაიჯანის, სომხეთის და სხვ. რესპუბლიკების სიმდიდრეზე. თუ საბჭოთა პლატფორმაზე მდგომ მწერალს ზაჰესი აინტერესებს მხოლოდ იმიტომ, რომ არაგვის და მტკვრის შესართავთან არის აგებული — ეს მაინც იგივე კარჩაკეტილობის, ნაციონალისტური მოტივის ბუდეში გაბმული ამბავია. სოციალისტური მშენებლობის ნიმუშები არ არის მარტო ერთი ერის სიამაყე: „მაგნიტოგორსკი" მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე დღის მგზავრობის მანძილზეა მოშორებული საქართველოს მიწა-წყლიდან, ის მაინც არის სიამაყე ჩვენთვისაც, ქართველი მშრომელი ხალხისთვისაც.

ს. თავაძე: საქ. კ.პ.(ბ) ცკას დადგენილება უდიდესი მოვლენაა ჩვენი სალიტერატურო - სამხატვრო ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნისათვის. ამხ. ჩხიკვაძემ, სხვათა შორის, დაასახელა მწერალთა წმენდა. მაშინ ამ წმენდის დროს მე გამოვედი და ვთქვი, რომ პარტიის პოლიტიკა და საერთოდ მწერლებისადმი დამოკიდებულება არ მოითხოვს იმას, რომ ადმინისტრაციული ღონისძიებებით გაიწმინდონ მწერლები, ადმინისტრატიული ზომებით მოხდეს იზოლიაცია. მაშინ ბენიტო ბუაჩიძემ ამას კონტრრევოლუციონური დეკლარაცია უწოდა და ეს აზრი გაიზიარა სხვებმაც. წმენდა ჩატარდა. მე ამ დროს მივლინებაში ვიყავი. როცა დავბრუნდი, ძველ სამსახურში და მითხრეს, რომ მოხსნილი ხარო. რატომ? — ჩვენ არ ვიცითო, ცეკამ მოგხსნაო. მივაკითხე იქაც. გამოირკვა, რომ:—მოხსნილი ხარ იმიტომ, რომ შენ არ ხარ საბჭოთა მწერალი და შენს წინააღმდეგ საჭიროა ადმინისტრატიული ზომების მიღებაო. ასეთი ზომებით ცდილობდნენ კაცის გამოსწორებას, საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე დაყენებას და საბჭოთა მწერლად გადაქცევას.

აქ ითქვა, რომ ჩვენი კრიტიკა დაბლა სდგასო. ამაზე ბევრს არ ვილაპარაკებ, მაგრამ არც ის ვარგა, როდესაც ნიშანში ამოიღებენ ერთ პიროვნებას, მისცემენ რაიმე სახელწოდებას. ამის შემდეგ რაც არ უნდა დასწეროს, მისი გამოსწორება აღარ შეიძლება. მე ვაცხადებ, რომ გასულ წლებში დავბეჭდე წიგნი და რომ ყოფილიყო ობიექტიური კრიტიკა, აღმოჩნდებოდა, რომ მე ვიყავი საბჭოთა მწერალი და არა კონტრრევოლუციონერი. „გზა მეწამული"-ს შესახებ ყველა აღნიშნავდა, რომ აქ არის ავტორი თანამგზავრი, მაგრამ ამის ნაცვლად ვხდებოდი უხეშ დამახინჯებას.

ფ. ნაროუშვილი: აღნიშნავს, რომ პროლეტარულ მწერლობის ასოციაციის ძველ ხელმძღვანელობას ახასიათებდა ბიუროკრატიზმი. ამის ნათელ სურათს იძლევა ამხ. ხუჩუაშვილის გამოსვლა დღევანდელ სხდომაზე. ეს ბიუროკრატიზმი განსაკუთრებით ახასიათებდა ბუაჩიძეს. რატომ ვერ გაბედეს და არ უთხრეს ხუჩუაშვილს, რომ მისი ნაწარმოები სუსტია და დასაბეჭდათ არ გამოდგებაო. ვერ გაბედეს იმიტომ, რომ ხუჩუაშვილი საჭირო ხმა იყო მათი ბატონობის განმტკიცებისათვის.

ქართულ ლიტერატურაში და საერთოდ ლიტერატურაში არის ოთხი სახე. ბოლშევიკის, მოკავშირის, თანამგზავრის და მტრის. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამ ოთხი სახიდან რომელიმეს მოხსნა. ცეკას 23 აპრილის დადგენილება გულისხმობს იმას, რომ ვინც გულწრფელად მოდის საბჭოთა ხელისუფლებასთან, მიღებული უნდა იქნეს საბჭოთა მწერლების რიგებში. მაგრამ მოსვლა შეიძლება ორი გზით. არსებობს გზა გულწრფელი და გზა თვალთმაქცობის. მეორე გზას აუცილებლად უნდა შევებრძოლოთ. გულწრფელად მოსვლის გზაზე, რა თქმა უნდა, შეიძლება დაშვებული იქნეს შეცდომები და ამოცანა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ხელი შევუწყოთ ამ შეცდომების გამოსწორებას, ოღონდ ისინი გულწრფელ ნიადაგზეა დაშვებული.

არის თუ არა ქართულ ლიტერატურაში კლასიური მტრის სახე. მე ვფიქრობ, რომ საკითხის ასე დაყენება ოპორტუნიზმია. არსებობს კლასიური მტერი, არსებობს ბურჟუაზიული მწერლები და არსებობს ბურჟუაზიული მწერლის გავლენის საშიშროება. ამიტომ საჭიროა ბრძოლა ამის წინააღმდეგ. მაგრამ გასულ წლებში ჩატარებული წმენდა — ეს იყო ადმინისტრატიულობა, რომელიც მკითხველ მასას არწმუნებდა არა გამოჩენილ მწერლების რეაქციონერობაში, არამედ არწმუნებდა იმაში, რომ ეს მწერლები დევნილი არიან. ადმინისტრატიული გარიცხვა მწერლისა არ იყო სწორი იმით უფრო, რომ არავითარი სერიოზული კამპანია არ ყოფილა მანამდე ჩატარებული. რა თქმა უნდა, ეს ადმინისტრატიული მეთოდი უნდა მოისპოს და მოისპო კიდეც. მაგრამ მისი მოსპობა არ ნიშნავს, რომ შევანელოთ ბრძოლა რეაქციონერ მწერლობის წინააღმდეგ.

მე დავუშვი შეცდომა „სამხეცის" დაწერის დროს ჯავახიშვილის და გამსახურდიას სამხეცეში შეყვანით. მე ვაღიარებ ჩემს შეცდომას, და თუ ის ამხანაგები, ვისზედაც არის ლაპარაკი „სამხეცეში" — ჯავახიშვილი და გამსახურდია, განსაკუთრებით კი ჯავახიშვილი, რადგანაც ის უფრო სერიოზულ მწერლად მიმაჩნია, თუ ისინი თავის სიტყვას გაამართლებენ, მაშინ მე, დეე, მეპატიოს თავხედობა. მე ვაცხადებ, რომ მაქვს თავხედური სტრიქონები და გამოვასწორებ ამ შეცდომებს.

კლასიკოსების შესახებ. საბჭოთა მწერლობის მუშაობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად რჩება ბრძოლა კლასიკოსების მარქსისტულ - ლენინურ დაუფლებისათვის. ძველ ხელმძღვანელობას ქონდა ამ მხრივ მრავალი შეცდომები. რაში მდგომარეობს ილია ჭავჭავაძის ნაწერების კრებულის გამოცემის რეაქციონერობა? იმაში, რომ ეს არ არის სრული კრებული, ეს არის ილია ჭავჭავაძის და ინგოროყვას კრებული. ის კომენტარიები, რომელიც აქვს მიცემული ინგოროყვას, ამაზე რეაქციონური კომენტარიები არც ერთ მწერალს არ გაუკეთებია. არ არის სწორი ისიც, რომ ამ კრებულში არ მოიპოვება „ქვათა ღაღადი". ეს არის ერთ-ერთი მთავარი ნაწარმოები, რომ ჩვენ გავიგოთ ილიას საზიზღარი დამოკიდებულება სომხებისადმი. ეს არის შოვინისტური შუღლის გაჩაღება და „ქვათა ღაღადი"-ს რეალიზაცია— ეს იყო საქართველოს მენშევიკური მთავრობა. ამიტომ ამ ნაწარმოების გამოტოვება არ არის სწორი.

„სალიტერატურო გაზეთმა" უნდა გარდაქმნას თავისი მუშაობა. მან კვალიფიკაცია უნდა გაუკეთოს იმ შეცდომებს, რომლებიც დაშვებულია მესამე ნომერში.

კ. ქიქინაძე. ეხება კლასიკოსების პრობლემას რეაქციონური თვალსაზრისით, რამაც სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია ყრილობის მხრივ.

კატო მიქელაძე: ქართველ მწერლებიდან მოითხოვენ მეტ მხატვრულ ენერგიას სოციალისტური მშენებლობის საქმეში. ამავე დროს უპარტიო თანამგზავრ მწერლებს აქცევენ მეტ ყურადღებას, ვიდრე დღემდე იყო. დაგმობილია კრიტიკის მათდამი უდიერი მოპყრობა, არა ამხანაგური მიდგომა და გაზვიადება იმ ნაკლისა, რომელიც ამა თუ იმ მწერალს ემჩნევა თავის ნაწარმოებში. დაგმობილია ყოველგვარი დაჯგუფება და ტენდენციურობა. მოითხოვენ მეტ კონკრეტულობას, მეტ ყურადღებას ახალგაზრდა მწერლებისადმი და უკანასკნელთა მეტ ცოდნას და წინსვლას. ყველა ზემოდასახელებული მოთხოვნილება მეტად დადებითი ხასიათისაა მათი შესრულება უეჭველია დიდათ წასწევს წინ ქართულ მწერლობას.

ირ. აბაშიძე: ცეკას 23 აპრილის დადგენილება უნდა გავიგოთ ისე, როგორც გაერთიანება მთელი საბჭოთა მწერლების ერთ ორგანიზაციაში.

მე მინდოდა მელაპარაკა ზოგადად, მაგრამ ერთი მწერლის გამოსვლამ საბაბი მომცა შევეხო მას. სასიხარულოა ის ამბავი, რომ დღეს უკვე აღარ არიან ათეული და ოცეული კ. ქიქინაძეები, არიან მხოლოდ თითო-ოროლა კ. ქიქინაძეები, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლა სწარმოებდა მუდამ და არ შეჩერდება. არავითარი დათმობა მათი მიმართ არ შეიძლება და არც იქნება მომავალში. კ. ქიქინაძის გამოსვლა — ეს იყო რაღაც იმ ქვეყნიდან.

ფ. ნაროუშვილმა აუცილებლად დაუშვა შეცდომა „სამხედრო მწერალში", როდესაც ჯავახიშვილი და გამსახურდია მოათავსა სამხეცეში. ეს იყო „მემარცხენე" შეცდომა.

ნაროუშვილის ლექსი ორბელიანზე და მთელი კამპანია ორბელიანის შესახებ არ იყო საჭირო, რამდენადაც ეს საკითხი არ არის დღეს განსაკუთრებით აქტუალური. ნუ თუ სამხედრო დარგში მეტი ვერაფერი ნახა ნაროუშვილმა, რომ მიეწოდებინა წითელ არმიელებისათვის? როდესაც სამხედრო გაზეთში ვწერთ მთელ გვერდებს ასეთ საკითხებზე, ეს არ მიმაჩნია მიზანშეწონილად. ნაროუშვილი ჯარში ტრიალებს ორი-სამი წელიწადია. ჯარში არის მთელი რიგი მტკივნეული საკითხები, რომელთაც ლიტერატურამ უნდა გასცეს პასუხი თავის დროზე.

ეხლა ჯგუფების შესახებ. ჩვენთან არსებობს ორი ჯგუფი. ეს ჯგუფი წარმოიშვა მას შემდეგ, რაც ასოციაცია დაიშალა. მე ვფიქრობ ჯგუფების მუშაობა უნდა გადახალისდეს, მათ უნდა გარდაქმნან თავისი მუშაობა და დაამტკიცონ, რომ ისინი იქნებიან მოწინავე ჯგუფები

მიხ. ჯავახიშვილი: ეხება მწერლების თანამედროვეობასთან დამოკიდებულების საკითხს და ამბობს, რომ ვინც თანამედროვე არის, ვინც დღეს ცხოვრობს მას აუცილებლად უნდა ახასიათებდეს თანადროულობა. სერვანტესი, შექსპირი, გოეთე და კიდევ მრავალი სხვა დიდი მწერალი დიდნი არიან სწორედ იმიტომ, რომ ყოველი მათგანი თანადროული იყო თავის ეპოქისათვის. ვისაც ეს თანადროულობა არ ახასიათებს, ის სახელს ვერ მოიხვეჭს, ყოველ შემთხვევაში თავის დროში ვერ იპოვის სახელს.

მე ვფიქრობ ცეკას დადგენილებამ ახალი ეტაპი შემოიტანა ჩვენს პირობებში. მე პირადათ ეს ისე ვიგრძენი, თითქოს დახუთულ ოთახში ფანჯარა გააღეს და გრილი სიო შემოვიდა. მაგრამ ვინც ეს შვება იგრძნო, მას სამჯერ მეტი მოვალეობა ეკისრება. ნურავინ იფიქრებს, ვითომ შესაძლებელი იყოს საბჭოთა ხელისუფლების დროს ყოველგვარი უფლებით ისარგებლო და მოვალეობა არ მოიხადო. დადგენილებაში პირდაპირ ნათქვამია, თუ რა ეკისრება საბჭოთა მწერალს — კომუნისტსაც და უპარტიოსაც.

ბეს. ჟღენტი: ჩვენი დღევანდელი ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ დღეს ორგანიზაციულად გაერთიანდა ქართული მწერლობის ყველა ის ძალები, რომლებიც დგანან საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე და მოწადინებული არიან მონაწილეობა მიიღონ სოციალისტურ მშენებლობაში.

თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ ჩვენი მწერლობა ჩამორჩა სოციალისტური რეკონსტრუქციის ტემპებს და ვერ გაამართლა მუშათა კლასის და პარტიის ამოცანები. ამ ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი მდგომარეობს იმ მეთოდში, რომელიც დღემდე იყო. მდგომარეობს იმაში, რომ მთელ რიგ ამხანაგებმა ვერ გაიგეს ახალი ვითარება, ახალი მდგომარეობა. პროლეტარული მწერლობა, რომელიც ავანგარდი უნდა ყოფილიყო მთელი მწერლობის, ცალკე ორგანიზაციად იდგა და მოწყვეტილი იყო მწერლობას, კარჩაკეტილი იყო და არავითარ ზეგავლენას არ ახდენდა. მეორეს მხრივ ასოციაციაში ადგილი ქონდა მთელ რიგ თეორეტიულ შეცდომებს. ამას ემატება უხეში პოლიტიკური შეცდომები. პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია და საერთოდ მწერალთა ორგანიზაციის სტრუქტურა იმის ნაცვლად, რომ ხელი შეეწყო მწერალთა დარაზმვისათვის სოციალისტური მშენებლობის ირგვლივ, გადაიქცა საწინააღმდეგო ძალათ. სხვათა შორის ამითაც უნდა აიხსნას ცეკას ისტორიული დადგენილება.

აქ მოხსენებელმა გაარკვია, თუ რა შეცდომებს უშვებდნენ მთელი რიგი მარქსისტი კრიტიკოსები, რომლებიც ყველას აქცევდნენ ერთ კონტრრევოლუციონურ ბანაკში. ჩვენ უნდა შევსძლოთ ყველა მწერლებისადმი ინდივიდუალური მიდგომა, მათი სწორად შეფასება და მათ ნაწერებში არა მარტო უარყოფითი ელემენტების, არამე დადებითი და განვითარებითი ნიშნებ აღმოჩენა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რო ჩვენ უფლება გვქონდეს ერთგვარი ამნი ტია გამოვაცხადოთ და დიფერენციაცი და ბრძოლის პროცესი შევაჩეროთ. მწერლობაში კლასობრივი ბრძოლა არ გათავე ბულა. ამას მოწმობს კ. ქიქინაძის დღევანდელი გამოსვლაც. განა მაშინ, როცა პარტია აკრიტიკებს ნიჰილისტურ დამოკიდე ბულებას კლასიკოსებისადმი და იძლე ნამდვილ ლენინურ გადაწყვეტას კლასიკოსების საკითხისას, განა ამ დროს უფლე აქვს მწერალს გამოვიდეს ისეთ სიტყვი რომლითაც გამოვიდა კ. ქიქინაძე, რომელმაც მოინდომა მთელი მარქსისტული კრიტიკისათვის ბრალი დაედო იმაში, რო თითქოს დღეს ნადგურდება კლასიკოსები. ასეთი გამოსვლა არ არის საბჭოთა მწერლის გამოსვლა და ასეთი ტენდენციები შემოსვლა კავშირში შეუძლებელია.

დასასრულ, უნდა მოვახსენოთ, როგორ მიხ. ჯავახიშვილმა სთქვა, მწერლების ვალეობა ეხლა გაცილებით მეტია. ეხ საკითხი სდგას ისე, რომ თუ საბჭოთა მწერალი ხარ, მეტი მოგეთხოვება. ეხლა აღა შეიძლება მწერალმა სთქვას, რომ მე პროლეტარული მწერლის მანდატი მაქვს ჩემი ნაწარმოები არ შეიძლება რეაქციონური იყოს, ნამდვილი პროლეტარული ი ნებაო. ნაწარმოები უნდა იყოს გამსჭვალული მუშათა კლასის იდეოლოგიით და ამავე დროს მაღალი ღირსების იყოს. აი შეგნებით უნდა შევიდეთ ახალ ორგანიზაციაში და საერთო ძალღონით ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ სოციალისტურ ს ზოგადოებას მივცეთ ნამდვილი სოციალისტური ლიტერატურა.

ტიციან ტაბიძე: მომხსენებელმა აღნი შნა, რომ ძველმა ხელმძღვანელობამ მოაწ ყო მწერალთა წმენდაო. ამ წმენდაზე აქამდე გარკვეული ლაპარაკი არ ყოფილ მხოლოდ გუშინ დასწერა ამის შესახებ „სა ლიტერატურო გაზეთმა" და გუშინ ახსენ ეს მოხსენებელმაც. ირკვევა, რომ ეს წმენ და დაგმობილია. ქონდა თუ არა ამ წმენდას გადამწყვეტი მნიშვნელობა მთელ ლიტერატურული პოლიტიკისათვის საქართველოში? ვამბობ, რომ დიდი მნიშვნელობა ქონდა. ჩვენ მაშინ ვამტკიცებდით, რომ მწერალთა წმენდა ერთად-ერთი მაგალითია მთელ საბჭოთა კავშირში და ვილაშქრებდით მის წინააღმდეგ. სწორედ აქედან იწყება ჩვენი იზოლიაცია,

ჩვენ ვიცავდით იმას, რომ მწერლებისადმი უდიფერენციაციო მისვლა შეუძლებელია. მაგრამ მაშინ ჩვენი არ გაიგონეს.

ბუაჩიძე ამ საქმეში მარტო არ იყო. როდესაც ის წმენდას ატარებდა, მაშინ მეორე ამხანაგი პ. ქიქოძე რუსულ ლიტერატურულ გაზეთში მოითხოვდა, რომ პაოლო იაშვილი გარიცხული ყოფილიყო კავშირიდან. ამ წმენდის ჩატარების დღიდან იწყება ლაშქრობა ჩვენს წინააღმდეგ, რომელიც დღემდე არ გათავებულა.

მე მინდა, რომ ჩვენს დღევანდელ ყრილობაზე შემუშავებულ იქნას ისეთი ღონისძიებები, რომ ხვალიდან უკვე შევუდგეთ პრაქტიკულ მუშაობას. კარგია კლასიკოსებზე მსჯელობა, მაგრამ ამას ზედმეტი ლაპარაკი მოყვება. ჩვენ კი კონკრეტული საქმე გვესაჭიროება, თუმცა უნდა ვსთქვათ, რომ ამ პრობლემაშიაც ბევრი რამ გაურკვეველია. მე ვასურვებდი, რომ მხატვრული პროდუქციის ხარისხის მაღლა აყვანას მიექცეს სერიოზული ყურადღება. მართალია, ჩვენს თობას დიდი ცოდვა აწევს. ეს ცოდვა არის ის, რომ ჩვენ ნაციონალიზმის გავლენის ქვეშ ვართ. ხალხს, რომელიც გაიზარდა აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის და ვაჟა ფშაველას შემოქმედებაზე, გვაქვს ეს გავლენა. ჩვენ გვქონდა აუარებელი შეცდომები, ეხლაც გვაქვს ისინი, მაგრამ არა ისეთი, რომ ამისათვის ჯოხით ღირდეს კვალდაკვალ სიარული. მე მინდა დადგეს ის დრო, როდესაც ქართული ლიტერატურის პრესტიჟი სათანადო სიმაღლეზე ავა.

ს. ჩიქოვანი: როგორც ვიცით ახალი ეტაპი ლიტერატურულ ცხოვრებაში გამომდინარეობს იმ ისტორიული სიტყვიდან, რომელსაც ეწოდება ამხ. სტალინის ექვსი მითითება. ამხ. სტალინმა თავის მითითებებში სრულიად ახალი სახით დააყენა ინტელიგენციის პრობლემა. მან სთქვა, რომ ძველი ტეხნიკური ინტელიგენციის საგრძნობი ნაწილი არის დადებითად განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი და საჭიროა ხელი შევუწყოთ მას და დავეხმაროთ გადახალისებაში.

ჩვენ მწერლობაშიაც ასეთი მდგომარეობა გვაქვს. საბჭოთა ხელისუფლების დროს, ამ ათის წლის მანძილზე შეიქმნა ერთის მხრივ პროლეტარული მწერლების კადრი, რომლებიც ქმნიდენ პროლეტარიატისათვის საჭირო და სასარგებლო ლიტერატურას და მეორეს მხრივ შეიქმნა კადრი მოკავშირე, თანამგზავრი მწერლებისა, რომლებიც პროლეტ. მწერლებთან ერთად აშენებენ ახალ ლიტერატურას. არის მწერლები რომელთა ფორმაცია მოხდა საბჭოთა ხელისუფლებამდე და მათ დღემდე ვერ შესძლეს გადმოედგათ ჩვენსკენ გაბედული ნაბიჯი. ეხლა იხსნება გზა, რომ მათაც შესძლონ საბჭოთა ხელისუფლებასთან ორგანიზაციული მისვლა.

აქ ბევრი ლაპარაკი იყო მიწიშვილის შესახებ. მიწიშვილს ბრალს სდებენ ნაციონალიზმში, შოვინიზმში. მე არ მიმაჩნია ეს სწორად, მაგრამ მე ვამბობ, რომ მიწიშვილს აქვს ერთი ტენდენცია, რომელიც ახასიათებს მას როგორც წვრილი ბურჟუაზიიდან გამოსულ მწერალს. ეს არის უკიდურესი ინდივიდუალიზმი. ის ერთ-ერთ ლექსში ამბობს: მე ვმუშაობ სოციალიზმის მშენებლობისათვის, სოციალიზმი აშენდება, მაგრამ მას ერქმევა კომუნისტების სახელი და ჩემი სახელი არსად არ იქნებაო. ეს არის სწორედ უკიდურესი ინდივიდუალიზმი. მას არა აქვს იმის შეგნება, რომ პროლეტარიატი აშენებს სოციალიზმს და ერთი ორი პიროვნების დაღი კი არ დაჩნდება მას, არამედ მთელი მასის. [illegible]

28 ივნისის საღამოს სხდომა

ამხ. ბებიზოვი: პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ჩამოყალიბებამდე სამხრეთ ოსეთში ლიტერატურული ორგანიზაციები არ ყოფილა. იყო მხოლოდ ლიტერატურული მიმართულებები. ასეთი ორგანიზაციის ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო პროლეტარულ მწერალთა კადრების ზრდას. ამ დარგში ძირითადი გარდატეხა მოხდა სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის პროლეტარულ მწერალთა გაერთიანებული ყრილობის შემდეგ. მართალია ამ ყრილობას ქონდა შეცდომები, მაგრამ მან მაინც ხელი შეუწყო პროლეტარულ მწერალთა ზრდას.

სამხრეთ ოსეთში ადგილი ქონდა ისეთსავე უხეშ პოლიტიკურ შეცდომებს თანამგზავრებთან დამოკიდებულების საკითხში, როგორც საქართველოში და სხვა რესპუბლიკებში. სამხრეთ-ოსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია თანამგზავრობის საკითხში დაადგა ავერბახის ლოზუნგს: „ან მოკავშირე ან მტერი".

ვ. ნატროშვილი: ვინც ფიქრობს, რომ ცეკას დადგენილება ნიშნავს ლიტერატურულ ფრონტზე ზავის დამყარებას, ის შემცდარია. მას ვერ გაუგია ცეკას დადგენილება. უნდა აღინიშნოს, რომ დღეს მკვეთრად სდგას საკითხი ინტელიგენციასთან დამოკიდებულების შესახებ. ამხ. სტალინი ყოველთვის ლაპარაკობდა, რომ საჭიროა ფრთხილი დამოკიდებულება ინტელიგენციასთან. ის პროცესი, რომელიც ხდებოდა ტეხნიკურ ინტელიგენციაში, ხდება ეხლა ლიტერატურულ ინტელიგენციაშიც. მართლაც, თუ გადავხედავთ უკანასკნელი დროის ლიტერატურას როგორც რუსეთში ისე საქართველოში, დავინახავთ, რომ თანამგზავრების რიცხვი გაიზარდა.

აქ ლაპარაკობენ, თითქოს ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფი მთლიანად „მემარცხენე" ვულგარიზატორულ ქაობში იყოს ჩაფლული. ეს არ არის მართალი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩვენ პირველ რიგში მოვითხოვდით და მოვითხოვთ არა ადმინისტრატიულ ბრძოლას მწერლების წინააღმდეგ, როგორც ამას ძველი ხელმძღვანელობა ჩადიოდა, არამედ ჩვენ რეაქციონური მწერლების წინააღმდეგ მოვითხოვდით იდეურ ბრძოლას. ჩვენ დავუშვით „მემარცხენე" ხასიათის შეცდომა. ამას არავინ არ უარყოფს და ამ შეცდომებს დღეის იქით აღარ გავიმეორებთ. ჩვენ არ ვამბობთ, რომ გამსახურდიასთანა ხალხი გაუსწორებელია, მათ აქვთ თანამშრომლობის სურვილი. მაგალითად, როგორც ამხ. ყურულაშვილმა აღნიშნა, „არსენა მარაბდელში" არის სიმპატია გლეხებისადმი. თუ მომავალში ჯავახიშვილმა გააღრმავა „არსენა"-ში აღებული ხაზი, ეს უკეთესი იქნება როგორც ლიტერატურისათვის, ისე მისთვის.

კონცერტი ქუჩაში

კაპიტალისტურ ქვეყნებში უმუშევრობამ მასიური ხასიათი მიიღო ხელოვნების მუშაკთა შორისაც. პროტესტის ნიშნად ფილადელფიის (ამერიკა) უმუშევარმა მუსიკოსებმა დირიჟორ ლეოკალდის თაოსნობით ქუჩაში გამართეს კონცერტი, რომელზედაც ასრულებენ რევოლუციონურ ჰიმნებს.

საქ. საბჭოთა მწერლების საგანგებო ყრილობა

ბრის რევოლუცია მოხდა კომუნისტური პარტიის მეთაურობით, ნიკოლოზ მიწიშვილის სახელი იქ არ არსებობს. მიწიშვილმა უნდა უკუაგდოს თავისი წვრილბურჟუაზიული ტენდენციები.

ლიტერატურაში უნდა მოისპოს ოჯახურობა. ქართულ ლიტერატურაში ეს ოჯახურობა ზედმეტად გავრცელებულია. აქ პოეტის სახელს, პოეტის ღირებულებას, როგორც მხატვრულ ღირებულებას, ხშირად ნაწარმოები კი არ ქმნის, არამედ ძმა-ბიჭური დამოკიდებულება. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ამ ობივატელობას ლიტერატურაში და მასში ოჯახური განწყობილების გადმოტანას. ასეთი გავლენა შემოვიდა ცისფერ ყანწელებიდან და გრძელდება დღემდე. ამის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ.

29 ივნისის დილის სხდომა

დ. ბენაშვილი: საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება, რა თქმა უნდა, არ არის არც მოულოდნელი და არც შემთხვევითი. ვინც თვალს ადევნებს იმ სოციალურ-ეკონომიურ ძვრებს, რომლებიც საბჭოთა კავშირში ხდება, მისთვის ნათელი და ლოღიკურია ეს დადგენილება. იმ უდიდესმა წარმატებებმა, რომლებიც ჩვენ გვაქვს სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე, მოითხოვეს ყველა იმ ძალების მაქსიმალური მობილიზაცია, რომლებიც რევოლუციასთან ახლოს დგანან. მე ვფიქრობ, ცეკას დადგენილება გულისხმობს მწერლებისადმი ადამიანურ მოპყრობას არა ტოლსტოის გაგებით, არამედ იდეური გაგებით, ადამიანურ მოპყრობას იმ მწერლებისადმი, რომელთაც აქვთ საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის ტენდენცია. იყო თუ არა ასეთი მოპყრობა? რა თქმა უნდა არ ყოფილა.

აქ იყო ლაპარაკი მწერალთა ორგანიზაციის გარდაქმნის შესახებ. მე არ შემიძლია დავეთანხმო ზოგიერთ ამხანაგს, რომელიც ლაპარაკობს, რომ ეს გარდაქმნა არ ეხება შინაარს. ასეთი აზრი გაატარა ამხ. ნაროუშვილმა. უფრო კარგი იქნებოდა მას ეთქვა, რომ დადგენილება არ გულისხმობს შინაარსის შეცვლას. შინაარსის გარდაქმნა არ ნიშნავს ახალ შინაარს; შეიძლება ეს ნიშნავდეს ამ შინაარსის ახალ ეტაპზე აყვანას.

პ. ოზოლი: ცეკას დადგენილებას ჩვენთვის ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ჩვენ მოხსენებიდან გავიგეთ, თუ რა მიზანი უნდა დაისახოს მომავალში ჩვენმა მწერლობამ, როგორი გეზი უნდა იქნეს აღებული. მაგრამ ზოგიერთმა ძველმა მწერალმა აქ რაღაც გამარჯვების პოზა მიიღო. ცეკას დადგენილება ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვაერთიანებთ საბჭოთა მწერლებს, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს კარგი და ცუდი ლიტერატურის გაერთიანებას. მაგალითად, აქ კ. გამსახურდიამ სთქვა, რომ ჩემი წიგნი ბიბლიოთეკებიდან ამოღებულიაო; ამით მას იმის თქმა უნდოდა, რომ თითქოს ამ დადგენილების შემდეგ შესაძლებელი იქნება ამ წიგნის ბიბლიოთეკებში დაბრუნება. ჩვენ მასას ვზრდით, და ნურას უკაცრავათ თუ ამა თუ იმ ნაწარმოებს უარყოფითად ჩავთვლით მასის აღზრდისათვის და არ მივიღებთ.

დასასრულ, ორატორი აღნიშნავს, რომ კლასიკოსების კრიტიკის დროს ჩვენ გვჭირია მეტი სიფრთხილე, საჭიროა მათ მივუდგეთ ნამდვილი სალი მარქსისტულ-ლენინური შეფასებით.

ქ. მელაძე: კ. ჭიჭინაძის გამოსვლა ჩვენს ყრილობაზე წარმოადგენდა იმას, თუ რამდენად ჩამორჩენილი უნდა იყოს ადამიანი, რომ ცეკას დადგენილება გაიგოს ისე, როგორც ეს ესმის ჭიჭინაძეს. მისი გამოსვლა წარმოადგენდა ძველი პოზიციების გადამღერებას ახალ ფორმებში. მართალია, ჩვენ ცეკას დადგენილება მიგვითითებს „მემარცხენე" ვულგარიზატორების წინააღმდეგ ბრძოლაზე, მაგრამ ცეკას დადგენილება არ გვეუბნება კლასიური ბრძოლა შევანელოთ და არ ვიბრძოლოთ ზოგიერთ მწერალთა მავნე იდეოლოგიის წინააღმდეგ. ჭიჭინაძე, როდესაც ასეთი განწყობილებით შემოდის კავშირში, მის წინააღმდეგ ბრძოლა საჭიროა.

ამხ. ყურულაშვილი ამბობდა, რომ კლასიკოსების მიმართ დაშვებული იყო „მემარცხენე" ხასიათის შეცდომები. ამის შესახებ გველაპარაკება საქართველოს კომპარტიის ცეკას დადგენილებაც, რომლითაც დაგმობილია ქუჩური დამოკიდებულება კლასიკოსებისადმი. მაგრამ ეს ნიშნავს თუ არა იმას, რომ კლასიკოსების მსოფლმხედველობის წინააღმდეგ ბრძოლა არ ვაწარმოოთ? არავის არ უნდა ქართველი კლასიკოსების განადგურება, [illegible] უნდათ მათ თავისი ადგილი მიუჩინონ.

ეხლა მე მინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვა ტ. ტაბიძის შესახებ. ტაბიძეს სურს დაამტკიცოს, თითქოს ცეკას დადგენილება გამოწვეულია იმით, რომ პროლეტარული მწერლობა ხელს უშლიდა საბჭოთა მწერლობას, დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ გარკვეული როლი შეასრულა, მაგრამ ტაბიძეს არ უნდა ეს გაიგოს.

ა. ჭუმბაძე: მე მგონია იდეოლოგიურ ფრონტზე არც ერთი დარგი არ არის ისე ჩამორჩენილი დღევანდელ ტემპებისაგან, როგორც ლიტერატურის დარგი. ეს ფაქტია და ამით არის სწორედ გამოწვეული ცეკას 23 აპრილის დადგენილება. ამ დადგენილებაში აშკარათ არის ნათქვამი, რომ იქმნებოდა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის კასტიურ დაწესებულებათ გადაქცევის საფრთხე, იქმნებოდა საფრთხე, რომ რომ ასოციაციას ჩამოშორდებოდა მნიშვნელოვანი ფენა საბჭოთა მწერლებისა. აი ამიტომ მოხდა მისი ლიკვიდაცია. ამის ფაქტები მრავალია: ადმინისტრატიულობა, კარჩაკეტილობა, საბჭოთა მწერლების მნიშვნელოვანი ნაწილის მოწყვეტა—აი ის, რამაც გამოიწვია ასოციაციის გაუქმება.

რა თქმა უნდა, ცეკას დადგენილება არ ნიშნავს საყოველთაო ამნისტიის გამოცხადებას, არ ნიშნავს იმას, რომ ამიერიდან აღარ იქნება გარჩევა „მემარცხენე" და მემარჯვენე მწერალს შორის. რასაკვირველია, ბრძოლა იდეოლოგიისათვის უნდა გაგრძელდეს, მაგრამ არის ერთი საშიშროება—არ დამახინჯდეს ადგილებზე ცეკას 23 აპრილის დადგენილება. მე ამის ვშიშობ იმიტომ, რომ აქ გამოსული ამხანაგები ცოტა არ იყოს აგრესიული ტონით ლაპარაკობდნენ.

ეხლა გამსახურდიას შესახებ. მან სთქვა, რომ ილია ჭავჭავაძე ვერ ერკვეოდა პოლიტიკაშიო. განა ასეთი დაცვა სჭირია ილია ჭავჭავაძეს? ნახევარი საუკუნის განმავლობაში ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური დროშა აქედან შავ ზღვას სწვდებოდა და მის შესახებ თქმა იმისა, რომ ის პოლიტიკაში ვერ ერკვეოდაო—ეს დათვური სამსახურია გამსახურდიას მხრიდან.

ა. არსენიშვილი აღნიშნავს, რომ აქ მემარჯვენე მწერლებმა მოინდომეს ერთგვარი კაპიტალის მოხვეჭა. ჯავახიშვილის მეთაურობით მემარჯვენე ბანაკი ამ ყრილობაზე გააქტიურდა, მაგრამ მემარჯვენეების სიხარული უსაფუძვლოა, მათ ნუ გონიათ, რომ ბრძოლა მათ წინააღმდეგ შეწყდება. კლასობრივი ბრძოლა იდეოლოგიურ ფრონტზე კიდევ უფრო უნდა იქნეს გაძლიერებული.

ს. ეული: მე ვფიქრობ, საჭიროა ყრილობაზე ვილაპარაკოთ იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება 23 აპრილის დადგენილების პრაქტიკულად განხორციელება. ჩვენ ვამბობთ, რომ 23 აპრილის დადგენილება არის ისტორიული ხასიათის. მაგრამ ზოგიერთს მნიშვნელობა ამ დადგენილებისა კარგათ არ ესმის, რაში გამოიხატება ცეკას 23 აპრ. დადგ. მნიშვნელობა? ნუ თუ მარტო იმაში, რომ ამ დადგენილების საფუძველზე დღემდე არსებული სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციები გარეგნულ ფორმას იცვლიან. ხდება ცვლილება, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, სტრუქტურული. ვფიქრობ, რომ ეს საკითხის ერთი მხარეა, ცეკას დადგენილების მიხედვით ჩვენი მუშაობა ძირეულათ იცვლება. მე ვფიქრობ, რომ ზოგიერთ ამხანაგებს, როგორც პროლეტარულ მწერლებს, ისე არა პროლეტარულს, ეს დადგენილება ვერ გაუგიათ.

ჩვენს წინაშე აუცილებლად დაისმება საკითხი მწერალთა დიფერენციაციის შესახებ. ხვალიდან ჩვენ გვაქვს ერთი ორგანიზაცია, დღემდე არსებული მრავალი ორგანიზაციების მაგიერ, რომელშიაც შევლენ ყველა საბჭოთა მწერლები. თქვენ კარგად იცით, რომ მათ შორის მოხდება დიფერენციაცია. ხვალიდან, როდესაც ერთი კავშირი გვექნება—დაიწყება საბჭოთა მწერლების კონსოლიდაცია. პრინციპიალურ, პარტიის ხაზის საფუძველზე ყველა ის მწერლები, რომელნიც, თანხმად ცეკას დადგენილებისა, შეუდგებიან თავის მუშაობას, უნდა შემჭიდროვდნენ უნდა იმუშაონ ერთ ორგანიზაციაში. კონსოლიდაციის საკითხი პრაქტიკულად უნდა დავაყენოთ. მაგრამ რა დაბრკოლება ელობება წინ ამას? უკვე გამოსული ამხანაგების ტონი გვეუბნება, რომ კონსოლიდაციას დაბრკოლება შეხვდება როგორც მარცხნიდან, ისე მარჯვნიდან. ავიღოთ კოწია გამსახურდიას გამოსვლა ერთი მხრით და ნაროუშვილის მეორე მხრივ. გამსახურდიას ზოგიერთი დებულებები მისაღებია. მაგრამ ის რაღაც ალმაცერად უყურებს ზოგიერთ ამხანაგებს, ასეთი გამოსვლა მისაღები არ არის. ეს კონსოლიდაციას ხელს შეუშლის, მეორეს მხრივ ნაროუშვილის გამოსვლა. ასეთი გამოსვლები და განწყობილებები, რასაკვირველია, ხელს შეუშლიან ჩვენი მწერლობის კონსოლიდაციას.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ ჩვენ მუშაობა პრაქტიკულად გავშალოთ თავიდანვე, როგორც კი გვეყოლება ახალი ხელმძღვანელობა, ახალი კავშირი. საჭიროა ის, რაც წარსულ მუშაობაში გვაკლდა. ეს არის თვითკრიტიკა. ყველა ამხანაგებს, რომლებიც უშვებენ შეცდომებს, ან დაუშვეს შეცდომა, მართებთ ილაპარაკონ თავის თავზე. აღიარონ თავიანთი შეცდომები.

ჩვენ კავშირში თავმოყრილი ყველა მწერლები, პარტიული და უპარტიო, თანაბრად პასუხისმგებელი არიან ცეკას ისტორიული დადგენილების განხორციელებისათვის. ეს იოლი საქმე არ არის და ყოველი ჩვენთაგანი როგორც პარტიული, ისე უპარტიო საბჭოთა მწერალი, უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის.

დ. დემეტრაძე: კამათს, რომელიც გაიშალა ამხ. ყურულაშვილის მოხსენების გარშემო, უნდა გამოემჟღავნებია მტკიცე ნებისყოფა ცეკას დადგენილების განხორციელებისათვის. მაგრამ სამწუხაროდ ორი ხაზით წარიმართა ყრილობაზე ამ ისტორიული დადგენილების დამახინჯება. პირველი ის, რომ მემარჯვენე ბანაკი, მემარჯვენე ფრთა ჩვენი ლიტერატურული ფრონტისა იმგვარად მიუდგა საკითხს, თითქოს დამყარდა ზავი, თითქოს შეწყდა კლასობრივი ბრძოლა ლიტერატურის დარგში. მეორეც ის, რომ „მემარცხენეთ" განწყობილ ამხანაგებმა ვერ შესძლეს სწორად ჩაწვდომოდნენ ცეკას დადგენილებას, აშკარად ეღიარებიათ ის შეცდომები, რომლებიც მათ ლიტ. მუშაობაში დაუშვეს.

ცეკას დადგენილება თავისი მახვილით მიმართულია იმ „მემარცხენე" ვულგარიზატორობის წინააღმდეგ, რომელიც დაშვებული იყო თანამგზავრების მიმართ. მე ვფიქრობ, ეს ცენტრალური მომენტი ამ ყრილობაზე არ ყოფილა გაშლილი. ასოციაციის ძველი ხელმძღვანელობა უხეშად ამახინჯებდა პარტიის ხაზს თანამგზავრების საკითხში, მაგრამ ამ ძველი ხელმძღვანელობის შეცვლის შემდეგ მდგომარეობა მაინც არ გამოსწორდა. ლოზუნგს „მოკავშირე ან მტერი" ფართო გასავალი ჰქონდა ჩვენს სინამდვილეში.

ამხ. ყურულაშვილმა თავის მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ცეკას დადგენილება არ უნდა გავიგოთ როგორც კლასობრივი ზავი, რომ ჩვენ კვლავ შეურიგებელ ბრძოლას ვაწარმოებთ პარტიის ხაზის ყოველგვარი დამახინჯების, კლასიური მტრების ყოველგვარი გავლენის წინააღმდეგ ლიტერატურაში. ვინც ისე გაიგებს ცეკას დადგენილებას, რომ თითქოს დამყარდა მშვიდობიანობა, რა თქმა უნდა ის მოტყუვდება, რა თქმა უნდა, ეს იქნება გაყალბება ცეკას დადგენილებისა. განსაკუთრებით ეს ტენდენცია მკაფიოდ გამოამჟღავნეს თავიანთ გამოსვლებში ამხ. ჭიჭინაძემ და ამხ. გამსახურდიამ. მათ იფიქრეს, რომ ცეკა „დათმობაზე" მიდის მემარჯვენე ბანაკის მიმართ, ეს არ არის სწორი. ასეთ განწყობილებებს ჩვენ გადაჭრით უნდა შევებრძოლოთ.

ეხლა „მემარცხენე" ვულგარიზატორების შესახებ. ისინი შეცდომებს უშვებდნენ ცეკას დადგენილებამდე, მაგრამ გამოქვეყნდა დადგენილება და იმის მაგივრად, რომ გამოესწორებიათ შეცდომა, გამოდის ამხ. ნაროუშვილის „სამხეცე", რომელიც ყოვლად მიუღებელი ტონით არის დაწერილი.

აქ ილაპარაკეს „სალიტ. გაზეთი"-ს შეცდომებზე. რა თქმა უნდა, გაზეთს შეცდომები და დეფექტები აქვს, მაგრამ ამაზე უნდა ვილაპარაკოთ ფაქტებით ხელში, საქმიანად. საჭიროა პრინციპიალური კრიტიკა და არა კრიტიკანობა, როგორც ეს ზოგიერთებს სჩვევია, არავის არ უთქვამს რომ გაზეთი უნაკლოა. ჩვენ ვცდილობთ, რომ შეცდომები გამოვასწოროთ. მაგრამ ზოგიერთების ბრძოლა ამ გაზეთის წინააღმდეგ სულ სხვა ხაზით მიმდინარეობს. არ არის საჭირო ამის დამალვა. უმთავრესად შევებრძოლენ იმისათვის, რომ ჩვენ არ მივეცით მონოპოლია მწერალთა ორგანიზაციაში ერთ რომელიმე ჯგუფს, გამოვამჟღავნეთ ეს ჯგუფობრიობა. მონოპოლიას რომელიმე ჯგუფისას ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაუშვებთ. დროა ჯგუფობრიობას ბოლო მოეღოთ. ამას მოითხოვს ჩვენგან ცეკას 23 აპრილის დადგენილება.

პ. იაშვილი: სწორედ იმ მომენტში, როდესაც აქ ჩვენი ყრილობა მიმდინარეობს, რუსეთის საუკეთესო მწერლები მოიხსნენ მოსკოვიდან და გაიხიზნენ რუსეთის სხვადასხვა კუთხეებში, რათა უშუალო მონაწილეობა მიიღონ იმ დიად მშენებლობაში, რომელიც ეხლა საბჭოთა კავშირში სწარმოებს. რუსი მწერლები უკვე პრაქტიკულად შეუდგნენ ცეკას 23 აპრილის დადგენილების განხორციელებას. არ შემიძლია არ ავღნიშნო, რომ ჩვენი ყრილობა ჩემზე ახდენს ცუდ შთაბეჭდილებას. როდესაც რუსეთში ცეკას დადგენილების შემდეგ გაიმართა პირველი კრება, იქ ადვილი ჰქონდა შემცდარ გამოსვლებს, მაგრამ ასეთ ორგანიზაციულ ჯგუფურ გამოსვლას თანამგზავრების წინააღმდეგ ადგილი არ ჰქონია.

აქ ბევრი ლაპარაკი იყო—უნდა გვიხაროდეს თუ არა ეს დადგენილებაო. იქნება ეს პროლეტარული მწერალი თუ არა პროლეტარული, „მემარცხენე" თუ შედარებით მემარჯვენე, ყველას უნდა უხაროდეს, რომ პარტია დიდი ყურადღებით მოეპყრა ლიტერატურის საკითხებს. მე მინდა განვაცხადო კატეგორიულად, რომ თუ ის პლატფორმა იქნება განხორციელებული, რომლის შესახებაც ილაპარაკა ამხ. ყურულაშვილმა, ეს მიმაჩნია სრულებით დამაკმაყოფილებლად საბჭოთა მწერლებისათვის. ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ ამხ. ყურულაშვილის მოხსენება იყოს საფუძველი იმ მუშაობისა, რომელიც შემოქმედების მხრივ ჩვენ ერთმანეთს გვაახლოებს. არავითარ ზავზე ლაპარაკი არ შეიძლება. მე მოუწოდებ ყველას, რომ შეიქმნეს დისციპლინა მწერლობაში და მოისპოს ის კინკლაობა, რომელიც ეხლა არის გამეფებული.

შ. დუდუჩავა: დღევანდელი საგანგებო ყრილობა—ეს არის პირველი ეტაპი ცეკას ისტორიული დადგენილების განხორციელების საქმეში. მეორე ეტაპი იქნება, როდესაც საბჭოთა მწერლებმა შემოქმედებაში უნდა განახორციელონ ის, რაზედაც ლაპარაკია ამ დადგენილებაში. მე ეჭვი მეპარება, რომ საბჭოთა მწერლების დიდ უმრავლესობას ის დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს ამ დადგენილებიდან, მკაფიოთ ჰქონდეს წარმოდგენილი. მაგალითად, მიხეილ ჯავახიშვილმა ვერავითარი განსხვავება ვერ დაინახა იმ დადგენილებებს შორის, რომელიც მიღებულია 1925 წელს და 32 წლის 23 აპრილს. თქმა იმისა, რომ 23 აპრილის დადგენილებით უკან წავედით, მივედით 25 წლამდე—ეს არის არ გაგება, როგორც 25 წლის, ისე 32 წლის დადგენილებისა.

ჯავახიშვილმა აქ განაცხადა, რომ მწერალმა თანამედროვე მშენებლობა უნდა ასახოს, თანამედროვე თემებზე სწეროს. მე უნდა მივაქციო თქვენი ყურადღება იმაზე, რომ ეს შემცდარი შეხედულებაა. თქმა იმისა, რომ თანადროულობის აღწერა მწერლისათვის მის დასახასიათებლად საკმარისია—ეს შემცდარი აზრია. შეიძლება თანამედროვე თემაზე ილაპარაკო, მაგრამ უაღრესად რეაქციონური ნაწარმოები შექმნა, თემაში არ არის საქმე. საქმეა თემის მსოფლმხედველობით გაგებაში, თემატიური მასალის მიდგომაში.

შემდეგ მე მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო ერთ შეცდომაზე, რომელსაც ჩვენ წინად ჩავდიოდით მეც და ბევრი ჩემი ამხანაგები—პროლეტარული მწერლები და კრიტიკოსები.

ჩვენ ვაშინებდით ყოველ მწერალს დიალექტიური მეთოდით. პერსონალურად მწერლებს შორის მე არა მაქვს ეს გამოცდილება, მაგრამ მე გამოცდილება მაქვს კინოში. ჩვენ უსაყვედურებდით რეჟისორს—რატომ ეს კადრი გამოჩნდა კინოზე, რატომ არ არის დიალექტიურ კანონზე აგებული, სად არის წინააღმდეგობა და ერთიანობა და სხვ. სამართლიანად აღნიშნავდა, ამხ. სტეცკი—ვულგარიზაციის და პროფანაციის ნიადაგზე იდგა ჩვენი კრიტიკოსების ნაწილი. დღესაც არ არის გამორკვეული ეს საკითხი—დიალექტიური მეთოდია თუ არა შემოქმედებითი მეთოდი. მეთოდი არის მსოფლმხედველობითი კატეგორია. ამ კატეგორიაზე უნდა აშენდეს შემოქმედებითი კატეგორია. თუ მსოფლმხედველობითი კატეგორია არის დიალექტიური მეთოდი, ამ მსოფლმხედველობითი კატეგორიაზე უნდა აშენდეს ის მეთოდი, რომელსაც ანგარიშს უწევს შემოქმედების სპეციფიკა. ამიტომაც მე სავსებით შესაძლებლად მიმაჩნია, რომ მრავალი შემოქმედებითი მეთოდი იყოს მწერლობაში. მწერლის მსოფლმხედველობითი შეიარაღება არის ერთ-ერთი გარანტია იმისა, რომ ცეკას დადგენილება განხორციელდება ისე, როგორც ამას მოითხოვს მისი ბუნება და შინაარსი.

დ. მეგრელი: 45 წელიწადი სრულდება, რაც შეძლებისდაგვარად მონაწილეობას ვიღებ ქართულ მწერლობაში და გულწრფელად უნდა ვაღიარო, რომ როცა 23 აპრილის დადგენილება წავიკითხე—ვიგრძენი თავისუფლება როგორც მწერალმა, დღეიდან, ვიფიქრე, მექნება საშუალება ის ძალღონე, რაც დამრჩენია, მოვახმარო ქართულ მწერლობას, რამდენადაც ეს ჩემს ხიჭს და შეძლებას შეეფერება.

უნდა მოგახსენოთ, რომ რამდენადაც ბედნიერება მაქვს ვიცხოვრო უდიდესი სოციალისტური მშენებლობის დროს, მე არ შემიძლია ვიყო გაჩუმებული, და მგონია არც არის საჭირო, მე მინდა ვიმუშაო. მე ვისურვებდი ჩვენი კავშირის ხელმძღვანელად არჩეული იქნას ისეთი კაცი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პარტიის წინაშე და თანაც იმდენი დრო ექნება, რომ შესაფერისად გაუძღვეს ჩვენს საქმიანობას და არავითარ შემთხვევაში არ დარჩეს ისეთი მდგომარეობა, როგორიც აქამდე იყო

შ. რადიანი: არის ისეთი ნაწილი ჩვენი მწერლებისა, რომლებისთვისაც ცეკას 23 აპრილის დადგენილება თითქოს მოულოდნელი რამ იყო. მაგრამ თუ ჩვენ ისტორიულ ასპექტში განვიხილავთ მოვლენებს, რასაკვირველია, მაშინ ცეკას ეს დადგენილება არ არის მოულოდნელი, არამედ ის სავსებით კანონზომიერი და აუცილებელი დადგენილებაა.

რა იყო ის უმთავრესი ნაკლი, რომელიც ჩვენ გვქონდა? ეს იყო ჯგუფობრიობა, ადმინისტრატიულობა, კარჩაკეტილობა, ბრძანების ტონი. უხეში დამოკიდებულება და სხვ. ასე იყო თვით ასოციაციის შიგნითაც, ასეთივე დამოკიდებულება გვქონდა ჩვენ უმრავლეს შემთხვევებში თანამგზავრ და მოკავშირე მწერლებისადმი. რასაკვირველია, პარტია ამ ნაკლის გამოსწორებაზე არა ერთხელ მიგვითითებდა, მაგრამ ასოციაციის ხელმძღვანელობამ ამ შეცდომების თავიდან აცილება ვერ შესძლო.

ამავე დროს არ შეიძლება დავივიწყოთ ის გარემოებაც, რომ პროლეტარულ მწერლობას თავისი ისტორიის მანძილზე უსათუოდ საგრძნობი მიღწევები ჰქონდა. ამ მიღწევების შესახებ ცეკას დადგენილება გარკვევით ლაპარაკობს.

ჩვენი ამოცანაა გავაკრიტიკოთ და გამოვასწოროთ ის შემცდარი პოზიციები და დებულებები, რომლებიც ცალკე ამხანაგებს ჰქონდათ. მაგრამ, სამწუხაროდ, არიან ისეთი ამხანაგები, რომლებიც ცეკას ამ დადგენილების შემდეგაც ცდილობენ ისევ ძველ პოზიციებზე დგომას. ამის ილუსტრაციას წარმოადგენს „მემარცხენე" ვულგარიზატორული შეცდომები, რომელიც დაუშვეს ნაროუშვილმა, შავგულიძემ და სხვებმა.

ეხლა ერთი საკითხის შესახებ, ეს საკითხი შეეხება ბურჟუაზიულ რეაქციონურ საშიშროებას ლიტერატურაში, რუსეთშიაც და ჩვენშიაც მწერლების რეაქციონურმა ნაწილმა ისე გაიგო ცეკას დადგენილება, თითქოს კლასთა ბრძოლა მოისპო ლიტერატურაში, ჰარმონია დამყარდა, რასაკვირველია, ეს მოსაზრება ძირშივე შემცდარია და ვინც ამ მოსაზრებით გამოვა, ჩვენ მას სასტიკ წინააღმდეგობას გავუწევთ. ჩვენი ამოცანაა გავაძლიეროთ ბრძოლა ორ ფრონტზე, მემარჯვენე გადახრის, როგორც მიმდინარე ეტაპზე მთავარი საფრთხის და „მემარცხენე" ვულგარიზატორულ ნახტომების წინააღმდეგ.

საბჭოთა მწერლების ყრილობის პროფილები

(გამოცანების სერია პირველი)

1.

ის ცნობილი პოეტია,
ტანადობით ვაჟი ზორბა;
ამ ბოლო დროს ლექსებს უკლო,
როგორც ორატორი მოლბა,
ყრილობაზე დინჯი ტონით
განაცხადა: „დავწერ წიგნებს,



მხოლოდ მე გთხოვ შევებრძოლოთ:
თავის გდებას, პლუტებს, ციგნებს"..
სიტყვა ყველას მოეწონა
დაიძახეს: ვაშა, ვაშა,
მაგრამ იქვე სთქვეს თვით არის
თავაშვებულთა პაპაშა.

2.

ალბათ უნდა გაგვაკვირვოს,
სტეხს შფოთიან აყალ-მაყალს,
და ათავსებს სამხეცეში
ის პოეტებს ძველს თუ ახალს.



მერე თვითვე გამოვა და
განაცხადებს გადავცდიო,
ახალგაზრდა მგოსანი ვარ,
ვინანიებ რაცა ვთქვიო.

3.

წინად ლირიკოსი იყო
ეხლა ბელეტრისტი არი,
„მოწამეთა" რიგში ალბათ
ის გინახავთ ჩოხით მდგარი,



ისე სიტყვას არ წარმოთქვამს,
თავის ძაღლი არ ახსენოს,—
ამ ჭაბუკმა მონადირემ
როდის უნდა მოისვენოს.

4.

იგი ბელეტრისტი არის
ადარებენ თითქმის გორკის,



მაგრამ წყეულმა კრიტიკამ
თვალი მოჰკრა სადღაც, „ბორკილს".

5.

გარეჯის დიდი უნარი აქვს,
თუმცა პატარა აქვს ტანი,
აქაც არის, იქაც არის,
დაიტვირთა ნამეტანი



მან უფროსი ყანწელები
დაჩაგრა და გადათელა,
(ტიციანი ვერას გახდა,
თუმცა პაოლო მოეშველა),
გუშინ ვნახე სასახლისკენ
მიდიოდა ნელა-ნელა.

6

ერთი მსუქანი პოეტი
დაიარება მიხაკით,



შუა კაცია ავ-ენა.
ხან იქით არის, ხაან აქით.
აფხაზეთს იყო, დაბრუნდა
პაპიროსებით მარაგით.

7.

სიმპატიური კაცია,
ხასიათით მეტად ლბილი.
თურმე წიგნს წაუკითხავად
აკრიტიკებს დალოცვილი.



ამ ხანებში ბევრმა გაჰკრა,
ზოგმა კლანჭი. ზოგმა ტორი,
მაგრამ ახალი ჟურნალის
მაინც გახდა რედაქტორი.

8.

ორი რომანი დაბეჭდა
კრიტიკოსთაგან ქებული,
ასწერა თავადიშვილთა
ცხოვრება განქიქებული.



მოკავშირეა—სამთაგან
ერთ-ერთი მირონცხებული;
თუმც ვირის ჩრდილი კვლავ ახლავს
რითაც ვარ გაოცებული.

9.

ძველი პროლეტმწერალია
თქვენ ყველას გინახავთ ისა,—
წარსულ სეზონში დადგმულის,
ავტორია პიესისა.



ვინც მოუწონა ეშმა
და ვინც კი ცუდათ უხსენა,
უნდოდა ცოცხლად დაეწვა,
ან ამოერთმია ენა.

10.

სწერს საწარმოო პოემებს
ტრაქტორზე, აპეურებზე,—
ამტკიცებს: „ბამბა ჩხრიალებს
უკეთ ვერცხლისა ფულებზე".
(გავკვირდი როცა ვუსმენდი)
მე რადიოთი ყურებზე).



მგონია ძნელი არ არის,
მის გვარს და სახელს მიხვდებით
შატილში ლექსი დაწერა
მოვარაყული სკრიტებით.

11.

თუმცა ახალგაზრდა არის,
ორატორი ჩქარი, მკვეთრი, —
ჩვენს მწერლებში კაცს ვერ ნახავ
თავი ჰქონდეს ისე თეთრი.



იგი გამხდარი კაცია,
სულ არ ატყვია ქვირითი,
კრიტიკოსია, თქვენ ალბათ
გინახავთ მისი ჯირითი.

12.

ყანწელები მას აქებდენ
მაგრამ ნუ უხსენებთ ახლა,—
„წმინდა ორდენს" გადაუდგა,
ნაროუშვილს მიეახლა;
ყრილობაზე მან არისტო
აალღვა, გააჭარხლა;



მიხეილიც სიბრაზისგან
უხტებოდა მაღლა-მაღლა;
რეგლამენტი აღარ ეყო
არ მოხერხდა მისი დაღლა.

(გაგრძელება იქნება)

ბაიოზ ყირიმელი.

სიძველეთა დაცვა

საქ. პრეზიდიუმმა განიხილა საქართველოში ისტორიული ხასიათის სიძველეებისა და ხელოვნების ძეგლების დაცვის საკითხი და გამოყო კომისია ამხ. მ. ტოროშელიძის, ს. კაკაბაძის და ბ. მაჩაიძის შემადგენლობით სიძველეთა და ხელოვნების ძეგლების დაცვის შესახებ სავალდებულო დადგენილების პროექტის შესამუშავებლად.

მხატვართა

კოოპერატივი

ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ განიხილა ტფილისში მხატვართა საწარმოო კოოპერატივის მოწყობის საკითხი.

კოოპერატივი მიიღებს შეკვეთებს სახვითი ხელოვნების ყოველგვარ ნიმუშებზე, რისთვისაც მასთან მოწყობილი იქნება სპეციალური ატელიესახელოსნოები.

უკვე არჩეულია მხატვართა კოოპერატივის საბჭო: გ. ბუხნიკაშვილი (თავმჯდ.). ს. კაკაბაძე, ლორის-მელიქოვი, ბოკუჩავაა, ასილოვი, მირზოევი, ვეფხვაძე, შავგულიძე, გუდიაშვილი, კროტკოვი, საბჭოს გამგეობაში არჩეულნი არიან: გოცირელი (თავმჯდ.), სტეფანოვი, კოპალიანი, მოსე თოიძე, აბაკელია თამარ, ამიროვი, რომანიშვილი, კანდელაკი და შენტიაპინი.

მწერალთა დაჯილდოება

ა.-კ. ფედერაციის 10 წლის თავის დღესასწაულთან დაკავშირებით ა.-კ. მშრომელ ხალხთა კულტურულად დაკავშირების საქმეში განსაკუთრებული ღვაწლისათვის, ა.-კ. ცაკმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა მწერლები: ამხ. გ. ბუხნიკაშვილი, მ. დარბინიანი, ნოე ზომლეთელი, გ. ქუჩიშვილი, ალ. მაშაშვილი, პ. სამსონიძე, გ. ტაბიძე, პ. ჩხიკვაძე და ს. ეული.

სესხზე ხელის მოწერა

წარმატებით მიმდინარეობს

„ხუთწლედის მეოთხე დამამთავრებელი წლის" სესხი გამოშვებულ იქნა სულ 3 მილიარდი 200 მილიონი მანეთის რაოდენობით. საქართველოში ამ თანხიდან უნდა გასაღდეს 50 მილიონ მანეთზე მეტი, ხოლო ტფილისში 20 მილიონი მან.

სესხის წარმატებით რეალიზაციის მიზნით მთელ საბჭოთა კავშირში გამოყოფილი იქნა რამოდენიმე ქალაქი, როგორც საჩვენებელი დასაყრდენი ქალაქი. ტფილისი ამ ქალაქთა სიაში მოყვა. ცხადია, ამ გარემოებამ განსაკუთრებული ელფერი მისცა ტფილისში სესხის რეალიზაციას. ქალაქის საბჭომ გამოყო 13 ქარხანა, როგორც საჩვენებელი ქარხნები; ყველა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული აქტივობა და ენერგია გამოიჩინეს კამპანიის ჩატარებისთვის. უნდა აღინიშნოს ტფილისის საქალაქო დამხმარე კომისიის მუშაობა, რომელმაც სესხის მხატვრულ აგიტაციას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, ასე, მაგალითად, მოწყობილ იქნა მხატვრულად მშვენივრად გაფორმებული კარნავალი რეჟისორი მ. ჭიაურელის ხელმძღვანელობით. კარნავალის გაფორმებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ იქნენ პროფ. ლადო გუდიაშვილი, ვ. სიდამონ-ერისთავი, სანაძე, ზოცირიძე, და სხვ., მხატვრები, მოწვეულ იქნა საქართველოს პროფსაბჭოს თეატრი „დამკვრელი", რომელიც მხატვრულ აგიტაციას ეწეოდა ქარხნებში, დაწესებულებებში და მუშათა კლუბებში. საქართველოს დრამკომმა აქტიური მონაწილეობა მიიღო სესხის მხატვრული აგიტაციის საქმეში, დრამკომის წევრების გ. ბუხნიკაშვილის და რ. ერისთავის საგიტაციო პიესები დიდის წარმატებით იდგმებოდა მუშათა კლუბებში და თეატრებში. საქ. დრამკომმა სესხზე ხელი მოაწერა 10.000 მან. რაოდენობით და სოცშეჯიბრებაში გამოიწვია ქ. ბაქოს და ქ. ერივანის დრამკომები.

უნდა აღინიშნოს, რომ სესხის აგიტაციის მხატვრულ გაფორმებას არც ერთ ქალაქში არ მიქცევია ისეთი სერიოზული ყურადღება, როგორც ტფილისში.

სესხის კამპანიის წარმართვის სწორმა ხელმძღვანელობამ და მშრომელთა მასებმა სესხის რეალიზაცია ვადაზე ადრე და გადაჭარბებით დაამთავრეს. ტფილისში გავრცელდა 20 მილიონ მანეთზე მეტი სესხის ობლიგაცია. **ტფილისმა გაამართლა საჩვენებელი ქალაქის სახელწოდება და ა.-კ. ფედერაციაში პირველი ადგილი დაიჭირა.** საკავშირო მაშტაბით პირველობა ჯერ გადაწყვეტილი არ არის.

კერძოდ, ხელოვნების მუშაკთა შორის სესხმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა. მაგალითად, **სახელმწიფო ოპერაში** სესხზე ხელის მოწერა წარმატებით ჩატარდა.

ოპერის დამხმარე კომისიამ კისლოვოდსკში თავის დასს დეპეშა გაუგზავნა სესხზე ხელის მოწერის შესახებ.

რუსთაველის თეატრში 200 კაციდან სესხზე ხელი მოაწერა ყველამ, ხელის მოწერის თანხა უდრის 38.480 მან. აღსანიშნავია, რომ დასი ბათომში იყო, დასმა ხელი სესხს ბათომში მოაწერა და ცნობა იქიდან გამოგზავნა დამხმარე კომისიის თავმჯდომარემ მსახიობ **ადამიძემ.**

კონსერვატორიაში სესხი გავრცელდა 24.000 მან. რაოდენობით, ხელის მომწერთა რიცხვი 100 პროც. უდრის.

სამხატვრო აკადემიაში სესხზე ხელი მოაწერა ყველა თანამშრომელმა.

სახელგამში დიდის ზეიმით ჩატარდა ხელის მოწერა. 339 კაციდან 314 პირველ დღესვე მოაწერა სესხზე ხელი, სულ ხელის მოწერის თანხა 30.000 მანეთს უდრის.

კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებულ თეატრში სესხზე ხელი მოაწერა 130 თანამშრომელმა 15.790 მანეთზე. ყველა თანამშრომელს ჯერ კიდევ არ აქვს ხელი მოწერილი, რადგან დასი ტფილისში არ არის.

სამწუხაროდ საქ. მწერალთა ორგანიზაციებმა ყველაზე ნაკლები ყურადღება მიაქციეს ამ დიდ პოლიტიკურ კამპანიას, სესხის მხატვრული აგიტაციისათვის არაფერი გაუკეთებიათ.

ამნაირად ტფილისის მშრომელმა მასებმა სესხის რეალიზაციის წარმატებით დამთავრება სოციალიზმის აშენების მძლავრ დემონსტრაციად გახადეს და ერთხელ კიდევ დაუმტკიცეს ჩვენს მტრებს, რომ საბჭოთა მთავრობა მშრომელ მასებთან ერთად გადალახავს ყოველგვარ დაბრკოლებას და ააშენებს სოციალიზმს.

რანქანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩინეთის რევოლუციონურ მწერალთა
დახვრეტის წლისთავი

ერთი წელიწადი გავიდა მას შემდეგ რაც გომინდანის ჯალათებმა იმპერიალისტების დაკვეთით დახვრიტეს ხუთი რევოლიუციონური მწერალი: **ლი ვეი-სენ, ჩაიო იუ-ში, ხუ ე-პინ, ინ-ფუ და ფინ-კენი** (მწერალი ქალი). დახვრიტეს აგრეთვე თეატრის მუშაკი **ცზუნ-ფეი.** ერთი მწერალი ცოცხლად დამარხეს მიწაში.

გომინდანისა და იმპერიალისტების ასეთმა თავაშვებულმა სიმხეცემ ღრმა აღშფოთება გამოიწვია მთელი ქვეყნის ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილისა და რევოლიუციონურ პროლეტარულ მწერლებში. გარდა საერთაშორისო რევოლიუციონერ მწერალთა გაერთიანებისა და საბჭოთა კავშირის მწერლების ორგანიზაციებისა, პროტესტი განაცხადეს ს.რ. მწ. გაერთიანების ცალკე სექციებმა და სხვადასხვა სახელმწიფოს ცალკე მწერლებმა. ამერიკის მთელმა რიგმა მწერლებმა და მათ შორის **დრაიზერმა, სინკლერმა** და სხვებმა ჩინეთის ელჩს ვაშინგტონში განუცხადეს ენერგიული პროტესტი.

ჩინეთის პრესა ბეჭდავდა ამ პროტესტს, მაგრამ იქვე ათავსებდა განცხადებას შანხაის მუნიციპალიტეტის სახელით იმის შესახებ, რომ ასეთ სიმკაცრეს ადგილი არ ქონია, რომ ზოგიერთი დასახელებული მწერალი (ლი ლი-სიამ) არც არასოდეს არსებულაო. იმპერიალისტების და გომინდანის პრესა ცინიკურად ცდილობდა და ახლაც ცდილობს ამ აღმაშფოთებელი ფაქტის დამალვას. აი ზოგიერთი ცნობები თეთრი ტერორის მსხვერპლთა შესახებ.

ამხ. **ხუ ე-პინმა** გაათავა დაწყებითი სკოლა და მალაზიაში ნოქრად შევიდა. შემდეგ შანხაიში გაიქცა და საშუალო სკოლაში განაგრძო სწავლა. 1925 წლიდან დაიწყო ლექსებისა და მოთხრობების წერა. 1929 წელს დასწერა ვრცელი მოთხრობა „მოსკოვისაკენ“. 1930 წ. ცზინანში ხელი მოჰკიდა მასწავლებლობას. ამავე ხანას აკეთებდა თარგმნები პლეხანოვის და ლუნაჩარსკის ნაწერებისა. თავის მოწაფეებს უკითხავდა მარქსისა და ლენინის თხზულებებს. ამისათვის ის მასწავლებლობიდან დაითხოვეს. შემდეგ ის შანხაიში დაბრუნდა და ჩინეთის მემარცხენე მწერალთა ლიგაში ჩაეწერა.

ხუ ე-პინ

ინ-ფუ

ამხ. **ინ-ფუ** სწავლობდა შანხაიში, მონაწილეობა მიიღო რევოლიუციონურ მოძრაობაში, ექიმის შვილი. წერა 14 წლის ასაკიდან დაიწყო. 1927 წელს დააპატიმრეს და დახვრეტა მიუსაჯეს. შემდეგ დახვრეტა შეუცვალეს და სამი თვის შემდეგ გაანთავისუფლეს. განთავისუფლების შემდეგ შანხაიში გერმანულ უნივერსიტეტში შევიდა. 1929 წელს უნივერსიტეტი დატოვა და რევოლიუციონურ მუშაობას დაიწყო. 1929 წლის სექტემბერში ის მეორეჯერ დაიჭირეს. ბრალად დასდვეს აბრეშუმის ქარხნის მუშათა გაფიცვის ხელმძღვანელობა. ციხეში სცემეს და აწამეს. 1930 წელს ჩაეწერა ჩინეთის მემარცხენე მწერალთა ლიგაში. სწერდა მემარცხენე ლიტერატურულ ჟურნალებში ლექსებს, მოთხრობებს და ნარკვევებს, აგრეთვე პოლიტიკურ სტატიებსა და შენიშვნებს მუშათა ახალგაზრდობის შესახებ.

ამხ. **ლი ვეი-სენი** თავიდანვე მონაწილეობას იღებდა სტუდენტთა და მუშათა მოძრაობაში. განათლება მიიღო მოსკოვში აღმოსავლეთის ხალხთა ინსტიტუტში. ხელმძღვანელობდა პარტიულ, კომკავშირულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების პრესას. დარაზმა მუშკორთა და სოფლკორთა ძალები. 1930 წელს დაარსდა სრულიად მთელი ჩინეთის საბჭოების კონფერენციის შანხაის ბიურო. ის არჩეულ იქმნა ბიუროს მდივნად, მას აქვს ლიტერატურული შრომები დოსტოევსკიზე, საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობაზე, აგრეთვე შრომები „რუსეთის გლეხობა და რევოლიუცია“ ნაარკვევებისა და ნოველების კრებული და სხვა.

ლი ვეი-სენ

ჩაო იუ-ში

ამხ. **ჩაო იუ-ში** ლიტერატურული მოღვაწეობა 16 წლის ასაკიდან დაიწყო. დიდი ხნით მასწავლებლობდა. 1928 წლიდან რედაქტორობდა ჟურნალს „დილის ყვავილებს“. იყო ერთი დამაარსებელთაგანი ჩინეთის მემარცხენე მწერალთა ლიგისა. მისი ლიტერატურული შრომებია: მოთხრობების კრებული: „გადარეული ადამიანი“, „იმედი“, რომანი: „ძველი ეპოქის სიკვდილი“, მოთხრობა: „სამი და“, „თებერვალი“. პოემა-დრამა: „ადამიანის ბედნიერება“. „სისხლი სჩქეფს“, დარჩა დაუსრულებელი ნაწარმოებებიც. მას ბევრი აქვს თარგმნებიც.

ამხ. **ფინ-კენი** მწერალი ქალი, აღიზარდა თავის უფროს დასთან, პოეტესსთან. 1922 წლიდან დაიწყო წერა. 1925 წელს მონაწილეობდა რევოლიუციონურ მოძრაობაში. 1930 წელს ჩაეწერა ჩინეთის მემარცხენე მწერალთა ლიგაში. ციხეში მას გმირულად ეკავა თავი. დახვრეტის წინ სხვა ამხანაგებთან ერთად გაიძახოდა რევოლიუციონურ ლოზუნგებს.

ფინ-კენ

ცზუნ-ფეი

ამხ. **ცზუნ-ფეი** დაიბადა 1910 წ. „თავისუფლების ლიგის“ განყოფილებამ მოაწყო ნანკინში. ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ დიდ ანტიიმპერიალისტურ დემონსტრაციას. ამასთან დაკავშირებით ნანკინის მთავრობამ დახურა სკოლა, სადაც ის სწავლობდა და ათობით დახოცა სტუდენტები. გაიქცა შანხაიში, სადაც ჩაეწერა მემარცხენე დრამატურგთა ორგანიზაციაში. მალე ის დაიჭირეს და საშინელი წამების შემდეგ დახვრიტეს.

ოქტომბრის 15 წლის თავისათვის

საქ. პროფსაბჭოს კულტსექტორში

ოქტომბრის 15 წლის თავის აღსანიშნავ დღესასწაულის მოსამზადებლად საქ. პროფსაბჭოს კულტსექტორში 27 მაისს შესდგა პირველი თათბირი, რომელსაც დაესწრნენ საბჭოთა მწერლების კავშირის და კომპოზიტორ - მუსიკოსთა წარმომადგენლებიც.

თათბირმა საჭიროდ სცნო როგორც მწერალთათვის, ისე კომპოზიტორებისათვის გარკვეულ დავალებათა მიცემა ოქტომბრის 15 წლის თავის აღსანიშნავად მუსიკალურ პიესების და მათი ლიტერატურული ტექსტების დასაწერად.

პროფსაბჭოს კულტსექტორმა ვალდებულება აიღო საგუნდო და მასიურ სიმღერების ლიტერატურულ მასალით კომპოზიტორები უზრუნველყოს 10 ივნისისათვის, ხოლო მუსიკალურ პიესების ტექსტებით 15 ივნისისათვის.

მხატვრული თვითმოქმედ ხელოვნების ოლიმპიადა

ოქტომბრის 15 წლის თავისათვის საქ. პროფსაბჭო აწყობს მხატვრულ თვითმოქმედ ხელოვნების ოლიმპიადას, რომელშიც მონაწილეობას იღებენ: ქუთაისის, ჭიათურის, ტყიბულის, ოზურგეთის, ფოთის, ზუგდიდის, სიღნაღის რაიონების და აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხ. ოსეთის მხატვრულ თვითმოქმედ ხელოვნების ყველა წრეები.

ოლიმპიადა რომელიც ამა წლის 15 ივლისს იწყება ტფილისში, ერთგვარი წინასწარი სამზადისია საოქტომბრო რესპუბლიკანურ ოლიმპიადისათვის.

სომხეთის ს.ს.რ. დრამკომში

ოქტომბრის 15 წ. თავის ღირსეულად შესახვედრად სომხეთის დრამკომი გაძლიერებულ მზადებაშია. სომეხ დრამატურგების ნაწარმოებთა ფართო პოპულიარიზაციისათვის დრამკომი მოკლე ხანში იწყებს უკანასკნელ წლებში დადგმულ ცნობილ სომხურ პიესების ქართულ, რუსულ და თურქულ ენებზე თარგმნას.

გარდა ამისა, სომეხი დრამატურგები მუშაობენ ოქტომბრის 15 წლის თავისათვის მიძღვნილ სპეციალურ პიესებზე.

კომპოზიტორების კონტრაქტაცია

ოქტომბრის 15 წლის თავის აღსანიშნავ სპეციალურ მუსიკალურ პიესების, საგუნდო და მასიური სიმღერების დასაწერად საქ. პროფსაბჭომ დააკონტრაქტა შემდეგი კომპოზიტორ - მუსიკოსები: **თაქთაქიშვილი, ბარხუდარიანი, მელვინეთ - უხუცესი.** თვითმოქმედ წრეებისათვის: **გოკიელი.** მასიურ სიმღერებისთვის: **არაყიშვილი, ბუკაია, გაბიჩვაძე.** საგუნდო სიმღერებისთვის: **გაბიჩვაძე, შველიძე, ფალიაშვილი, კოკოლაძე, აზმაიფარაშვილი და ტალიანი.**

—:—

საქ. დრამკომმა კონტრაქტაციით აიყვანა მცირე ფორმის 6 ავტორი. მათ დაევალათ ოქტომბრის რევოლიუციის 15 წლის თავისათვის დასწერონ სპეციალური პიესები. გარდა ამისა, მასიურ სიმღერების დასაწერათ კონტრაქტაციით აყვანილ იქნა 10 კომპოზიტორი.

განზრახულია საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების თვითმოქმედ დრამატიულ წრეებისათვის დაიბეჭდოს 4 პიესა.

თეატრი

მუშა-მსახიობი ნ. ასათიანი

2 ივლისს, ზესტაფონის რკინის გზის მუშათა კლუბში მუშა-მსახიობს **ნიკოლოზ სიმონის-ძე ასათიანს** გადაუხადეს 30 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე.

იუბილიარი დაიბადა 1883 წ. დაამთავრა ადგილობრივი რკინის გზის სასწავლებელი. მუშაობდა ზეინკლად. 1905 წ. რევოლიუციაში მონაწილეობისათვის იგი გადასახლებულ იქნა ციმბირში.

სცენაზე მოღვაწეობა დაიწყო 1902 წლიდან. ნიკოლოზ ასათიანი მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა პიესებში ისეთ დიდ მსახიობებთან, როგორიც არიან: **ლ. მესხიშვილი, მ. საფაროვა- აბაშიძისა, შ. დადიანი, ნ. გოცირიძე** და სხვ.

იუბილიარი უმთავრესად სახასიათო როლებში გამოდიოდა. იმ თავითვე მიიპყრო მუშათა აუდიტორიის ყურადღება, როგორც კომიკური როლების ნიჭიერმა შემსრულებელმა.

მისი 30 წლ. სასცენო მოღვაწ. არ განისაზღვრება მარტო როლების კარგი შესრულებით. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის შორაპნის მაზრაში თეატრალური კულტურის გავრცელების საქმეში. არ არის თითქმის არც ერთი სოფელი, რომ მას წარმოდგენა არ გაემართოს.

იგი ერთ-ერთი ინიციატორი და დამაარსებელია ზესტაფონის რკინის გზის კლუბისა.

იუბილიარი ამჟამად მსახურებს მემანქანედ, არის დამკვრელი და გამომგონებელი, რისთვისაც მრავალჯერ იქნა დაჯილდოებული.

ადგილობრივმა რაისაბჭომ შეაფასა რა ნიკოლოზ ასათიანის 30 წლის სცენაზე ნაყოფიერი მუშაობა — მისი თავდადებული ბრძოლა საუკეთესო დამკვრელობისათვის და მუშათა გამომგონებლობისათვის თავის გამოგონებით ხელის შეწყობა — აღძრა შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე მისთვის დამსახურებული მუშა-მსახიობის სახელის მინიჭების შესახებ.

სომხეთის წ. დროშოვან თეატრის გასტროლები

მიმდინარე წლის 20 ივნისიდან ოპერის თეატრში დაიწყო საბჭოთა სომხეთის პირველი სახელმწიფო დრამის თეატრის გასტროლები.

ამ თეატრმა რამდენიმე თვის წინად ერევანში იდღესასწაულა თავისი არსებობის 10 წლის თავის იუბილე და მიიღო წითელდროშოვან სახ. დრამის თეატრის სახელწოდება.

თეატრმა თავის საგასტროლო სეზონი გახსნა ოპერაში სუნდუკიანის პიესებით: „პეპო“ და „ხათაბალა“-თი. ეს სპექტაკლები იმით არის საინტერესო, რომ თეატრმა სავსებით შესძლო კლასიკური რეპერტუარის დაძლევა და ისე გამოყენება, რომ კლასიკური ნაწარმოების კომპოზიცია არ არის დარღვეული და იგი გამდიდრებულია თანამედროვე მხატვრული თეატრალური ხერხებით.

ორივე სპექტაკლის გაფორმებაში ნათლად გამოსჭვივის თეატრის მაღალი კულტურა.

მოხდენილი მიზანსცენები, სცენის მოცულობის დაპყრობა აქტიორისა და სინათლის ფერთა მხატვრული გამოყენებათ, მხატვარის როგორც დეკორატორის კარგად გამოყენება, რეჟისორ **გულაკიანის** ნიჭსა და დიდ თეატრალობას ამჟღავნებს.

ათი წლის განმავლობაში თეატრმა გამოზარდა აქტიორთა, მხატვართა, დრამატურგთა და საერთოდ თეატრალურ მუშაკთა ძლიერი კადრი.

საბჭოთა საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები აღნიშნავენ მოძმე რესპუბლიკის წითელდროშოვან თეატრის გასტროლების დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას, რომელიც ამტკიცებს და ამაგრებს ა.-კ. ერთა შორის კულტურულ კავშირს. თეატრს მიესალმნენ: **ი. ფანცხავა** (სახ. გან. კომ.), **გ. ბუხნიკაშვილი** (ს. პ. კ. ს: დახელ: მ:კ:), რესპუბლიკის სახალხო არტისტი — **კ. მარჯანიშვილი,** ტფილისის თეატრის და სხვ. ორგ. წარმომადგენლები.

ტფილისის მეორე სახელმწიფო თეატრი სტალინისში

ტფილისის მეორე სახელმწიფო თეატრი კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით 15 ივლისიდან 15 აგვისტომდე სტალინისში ჩაატარებს 15 საგასტროლო წარმოდგენას.

რეპერტუარში შეტანილია: **„შიში“ „ფოლადის პოემა“, „როგორ“, „ყვარყვარე თუთაბერი“, „ურიელ აკოსტა“, „მუნჯები ალაპარაკდენ“,** და სხვ. ამას გარდა, გადაწყვეტილია პრემიერა — შილერის **„ყაჩაღების“** დადგმაც.

წარმოდგენები გაიმართება რკინის გზის ახალ კლუბში, რომლის სცენაც სავსებით უზრუნველყოფს აკადემიური თეატრის ნორმალურ მუშაობას.

ამჟამად კლუბში დაკვრითი წესით მიმდინარეობს განათების მოწყობილებათა დადგმა.

პირველი საზეიმო წარმოდგენა შეფარდებული იქნება სურამის უღელტეხილზე საცდელი ელექტრომავალის გაშვებასთან.

რუსთაველის თეატრის გასტროლები ბათომში

15 ივნისიდან დაიწყო რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლები ბათომში. წარმოდგენები მიმდინარეობს აჭარ. აკადემიური თეატრის შენობაში.

დღემდე დაიდგა **„ანზორ“**—ს შანშიაშვილის, **„განგაში“** —ა. მაშაშვილის და **„ლამარა“** — გრ. რობაქიძის.

გასტროლები წარმატებით მიმდინარეობს. როგორც ღია, ისე დახურულ წარმოდგენებს დიდძალი ხალხი ესწრება.

თეატრი არ კმაყოფილდება წარმოდგენების გამართვით ქალაქში. გამოყოფილია მსახიობთა ბრიგადები, რომლებიც ფაბრიკა - ქარხნებში და მსხვილ საწარმოებში მართავენ კონცერტებს. განზრახულია აგრეთვე ბრიგადის მივლინება აჭესში.

გასტროლები ბათომში გასტანს 20 ივლისამდე.

მარსელ პრუსტი

მიმდინარე წელს სრულდება ათი წელი გამოჩენილი ფრანგი რომანისტის, მარსელ პრუსტის გარდაცვალებიდან (1871—1922). ფრანგული პრესა ამ თარიღს ყურადღებით ხვდება.

მარსელ პრუსტი უდიდესი გავლენით სარგებლობს ამჟამად ევროპაში. პირველ მის ნაწარმოებს „ნუგეში და დღეები“ წინასიტყვაობა დაურთო ანატოლ ფრანსმა მიუხედავად ამისა საერთო ცნობას და ლიტერატურულ დიდებას მარსელ პრუსტი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მოესწრო (1919 წ. მან მიიღო გონკურების პრემია).

მარსელ პრუსტი საფრანგეთის ბურჟუაზიის პირმშო შვილია. მამა მისი პარიზის ერთ-ერთი უნივერსიტეტის პროფესორი იყო. თვითონ პრუსტის ცხოვრება სავსეა წამებითა და მარტოობით. ცხოვრობდა ვიწრო ოთახში და მძიმედ დაავადებული (მას აწვალებდა „ასტმა“) ქმნიდა პარიზის სალონების იმ უდიდეს ეპოპეას, რომელსაც ეწოდება „დაკარგულ დროთა ძიებაში“ ეს არის ცალკეულ ტომების შემცველელი დიდი რომანი და რუსულად მისი ციკლიდან თარგმნილია „სვანის მხრით“ (სამი წიგნი) და „ქალწული ყვავილნარში“ (პირველი ტომი).

მარსელ პრუსტი არ არის ბელეტრისტი ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით. ის უფრო მკვლევარია თავისი გმირების სულიერი ვითარების. (საგრძნობია ფსიხოლოგიური მოტივების სიჭარბე). ამ მხრით დამახასიათებელია ავტორის თავისებური ლიტერატურული ხერხი: პრუსტი ხშირად 30—40 გვერდს უთმობს ზოგიერთი პირის ფსიქოლოგიური დეტალის ჩვენებას. მოქმედ გმირთა ქცევაში მონაწილეობს „წარსულიც“. ეს არის მწერლის სახვითი მეთოდი: მ. პრუსტის რომანებში წვრილმანები დაუსრულებელ გადახვევებს იწვევს. თავს იჩენს ავტორის უჩვეულო ტალანტი დროის ფარგლების ათვისებისა. (ხსოვნათა აღდგენის გზით). სამართლიანია შენიშვნა იმაზე, რომ მარსელ პრუსტი — ამ მხრით ფრანგი მოაზროვნის, ჰანრი ბერგსონის ფილოსოფიის უცილებელ გავლენას განიცდის. (იხ. ამ უკანასკნელის „შემოქმედებითი ევოლიუცია“ და „მატერია და ხსოვნა“). ყოველშემთხვევაში მ. პრუსტის თხზულებაში ეს მომენტი გაცილებით უფრო მკაფიოდ იგრძნობა, ვიდრე ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიტური სისტემის გავლენა.

სალონების ცხოვრება, პარიზის ბურჟუაზიის ყოველდღიურობა, მიმავალი კლასის ესთეტიკა — აი ის ქვეყანა, რომელსაც მხატვრულად გადმოგვცემს მ. პრუსტის შემოქმედება.

კომპოზიციის მხრით მ. პრუსტის რომანები უფრო დღიურებს წარმოადგენს. ჟანრის ასეთი გზით გამართვა სავსებით შეეფერება მის სტილს. გრძელი პერიოდები. ნელი ინტონაცია და უკიდურესი სუბიექტივიზმი. მ. პრუსტის თხზულებებს ხშირად ამძიმებს საკითხავად.

მ. პრუსტის სახელის გარშემო საფრანგეთში მთელი კულტია შექმნილი. დაუსრულებლად იცემა მწერლის წერილები და დღიურები. ქართულად თარგმნილია მ. პრუსტის პროზის ნაწყვეტი „ბერგოტის სიკვდილი“ (დაიბეჭდა „ქართ. მწერლობა“-ში).

არნო ჰოლც

გარდაიცვალა ცნობილი გერმანელი მწერალი **არნო ჰოლცი.**

არნო ჰოლცი დაიბადა 1863 წ. წარმოშობით — ფარმაცევტის შვილი. ახალგაზრდობა გაატარა გაჭირვებაში. ოცი წლისამ გამოსცა ლექსების პირველი წიგნი „რეკვა გულში“. მას მისდევს მთელი რიგი კრებულებისა (ლექსების, პროზის და კრიტიკის დარგიდან), არნო ჰოლცმა მალე დაიმსახურა ლიტერატურული წრეებისა და კრიტიკის ყურადღება, ის სათავეში ექცევა ნატურალისტურ მიმართულებას გერმანულ მწერლობაში. ეს პერიოდი აღნიშნულია რევოლიუციური რადიკალიზმით. არნო ჰოლცის შემოქმედებას შემდეგაც არ დასტყობია ისეთი დაქანება დეკადენტიზმისა და სიმბოლიზმისაკენ, როგორც ეს მოუვიდა მეორე ნატურალისტს დრამატურგიიდან — ჰერჰარდ ჰაუპტმანს

არნო ჰოლცი უმთავრესად ლირიკოსია, თუმცა მის კალამს ეკუთვნის მნიშვნელოვანი ნიმუშები დრამატიული ჟანრების დარგში და უაღრესად ყურადსაღები თეორიული შრომები ლიტერატურის ისტორიიდან და თეორიიდან. მისივე დამსახურებას მიეწერება ცნობილი ამერიკელი პოეტის, უოლტ უიტმანის კანონიზაცია ევროპიულ ლიტერატურაში.

არნო ჰოლცმა გაამდიდრა გერმანული ლექსი. მასში ტონაკის მრავალფეროვნების შეტანით. ამ მიმართულებით ჰოლცის ძიებანი მთელს ეპოქას ქმნის ახალ გერმანულ პოეზიაში. თუ სტ. გეორგეს ლექსი განტვირთულია რიტმიული ექსპრესიისა და ემოციონალობისაგან, თუ ამ პოეტის სტილს ახასიათებს სონეტის ფორმის სიმკაცრე და სტროფიული კომპოზიციის უცვლელობა (თუმცა კრებულები „შვიდი რკალი“ და „დრაი გეზანგე“ ამას არ ადასტურებენ) — არნო ჰოლცი კი მეტრის სტატიურობას უპირისპირებს ლექსის აქცენტურ მრავალფეროვნობას და მღელვარე რიტმს. მისთვის სამყარო გაფორმებულ მოძრაობას წარმოადგენს. ა. ჰოლცის პოეზია ხასიათდება ახალი პათეტიურობის ძიებით.

არნო ჰოლცის ცენტრალური ნაწარმოებია 1899 წელს გამოცემული ვებერთელა ტომი ფილოსოფიური ლირიკისა: „ფანტაზუს“. (ხელმეორედ, გადამუშავებული სახით ის გამოიცა 1916 წ.).

არნო ჰოლცი პირველია გერმანულ პოეზიაში, რომელიც ეხება ქალაქის პროლეტარიატის ყოფას. ის თავისუფალია კაპიტალისტური ბაზრის დაკვეთისა და ბულვარული რეზონანსის ძიებისაგან. მასიური მკითხველის დაინტერესება წილად ხვდა მხოლოდ ერთს მის თხზულებას, რომელიც ცნობილია „დაფნის“-ის სახელწოდებით. ა. ჰოლცი გარდაიცვალა ისევე მარტივს, გარეგნულად ნაკლებ ბრწყინვალე გარემოში, როგორშიაც მას უხდებოდა მრავალწლოვანი და მძიმე მუშაობის წარმოება.

განი

პროლეტთეატრი

საფრანგეთი

მ. წ. 21 თებერვალს შესდგა საფრანგეთის მუშათა თეატრების ფედერაციის პირველი კონგრესი. კონგრესმა ფედერაციის ერთი წლის მუშაობას ჯამი გაუკეთა (ფედერაცია ერთი წლის წინად დაარსდა) კონგრესზე ცხოველი აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია მუშათა სცენის რეპერტუარის ორგანიზაციულმა საკითხებმა და ფედერაციის მუშათა თეატრის ფინანსიურმა მდგომარეობამ.

კონგრესმა გადასწყვიტა აქტიური მონაწილეობა მიიღოს მუშათა კლასის ყველა კამპანიებში, განსაკუთრებით მის ბრძოლაში ომის წინააღმდეგ, გაშალოს და გააფართოვოს მუშათა თეატრალური მოძრაობა და ამ მოძრაობაში ჩააბას ყველა მუშური და რევოლიუციონური თეატრალური დაჯგუფებები, აგრეთვე სოციალ-დემოკრატიული თეატრალური ჯგუფებიც.

ავსტრია

ავსტრიის აგიტ. პროპ. ჯგუფების ცენტრალურ გაერთიანების ორგანო „კრასნი ბარაბანშიკი“ ბეჭდავს წერილს თუ როგორ უნდა მომზადდეს თეორეტიულად მუშათა თეატრალურ მოძრაობისათვის საჭირო ძალები. ჟურნალის მარტის ნომერში დაბეჭდილია გარდა მცირე ფორმის პიესებისა საერთო თემებზე, ადგილობრივი ხასიათის მასალებიც. აღსანიშნავია რომ ავსტრიის თეატრალური მუშაკები სცენიურად აყალიბებენ ლოზუნგს: „პირით ღარიბისაკენ“. პირველი ასეთი პიესა მცირე ფორმის ასეთი შინაარსისაა: „გადასახადების აკრება დაბრკოლებებით“. პიესაში მოცემულია ღარიბ გლეხთა ბრძოლის სურათები გადასახადების აკრების ფაშისტური მეთოდის წინააღმდეგ. ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე თეორეტული წერილი მუშათა თეატრის შესახებ.

იაპონია

იაპონიის რევოლიუციონურ კულტურულ მუშაობაში პირველად იქმნა გამოყენებული სოცშეჯიბრების მეთოდები, რამაც საუცხოვო შედეგები მოიტანა. იაპონიის მუშათა თეატრების გეგმაში შედის ტოკიოს მემარცხენე თეატრებმა შეჯიბრში გამოიწვიოს მოსკოვის ახალგაზრდობის თეატრი, გუკიჯის ახალი თეატრებმა ბერლინის თეატრი: „კრასნი რუპორი“. ტოკიოს პროლეტარულ კაბარემ—ვლადივოსტოკის ახალგაზრდობის თეატრი.

იაპონიაში გაიმართა საერთაშორისო მუშათა თეატრების დეკადა, რომელსაც შემოკლებულად უწოდებენ „ბრტი“. მთავრობამ აკრძალა ამ სიტყვის ხმარება და ისეთი პიესის დადგმაც, სადაც ასახული იქნება საბჭოთა კავშირის სოცმშენებლობა.

იაპონიის პროლეტარულ თეატრების ლიგამ მთელი ქვეყნიერების მუშებს მიმართა მოწოდებით დაიცვან ჩინეთის მშრომელი ხალხი და ებრძოლონ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საომარ მზადებას. ამ მოწოდებას გამოეხმაურა ინგლისის, გერმანიის საფრანგეთის და სხვა სახელმწიფოთა თეატრები.

მუშა-მწერალი ფონ-ტეფო

28 ივნისს ქ. სტალინისში (ხაშურში) გარდაიცვალა მოხუცი მუშა-მწერალი სტეფანე გიორგის ძე ნოზაძე „ფონ-ტეფოს“ ფსევდონიმით ცნობილი ქართულ ჟურნალ გაზეთებში.

ფონ-ტეფო დაიბადა სურამის უღელტეხილის ახლო მდებარე სოფ. ფონაში 1862 წელს. იყო ღარიბი გლეხის შვილი. სწავლის მოწყურებულმა მატარებლიდან გადმოყრილ გაზეთების და წიგნების ნაგლეჯების საშუალებით შეისწავლა წერა-კითხვა და ხელი მოკიდა თვითგანვითარებას.

რამდენიმე ხნის შემდეგ ახალგაზრდა სტეფანე იწყებს მუშაობას ხაშურში ლიანდაგის მუშათ, შემდეგ ის მუშაობს წიფის გვირაბის გაყვანაზე და ბოლოს რკ. გზ. მატარებლების კონდუქტორათ.

სტეფანემ ადგილობრივი თავად-აზნაურობის და სამღვდელოების რისხვა დაიმსახურა თავისი წერილებით ჟურნალ „კვალში“ და სხვა იმდროინდელ გაზეთებში. სტეფანე აშკარავებდა რელიგიის მსახურთა და თავად-აზნაურთა ბუნებას საზოგადოების წინაშე. ასეთი წერილების შედეგად ცნობილმა თავადმა მიტუშა აბაშიძემ სასიკვდილოთ ცემა კეტით. სტეფანე სწერდა აგრეთვე ზოოლოგიური ხასიათის ნარკვევებს. მისი ვრცელი შრომა საქართველოში მობინადრე გარეული ცხოველების შესახებ ელოდება გამოცემას.



პუბლიცისტურ წერილებთან ერთად სტეფანე სწერდა ლექსებს. მისი პოემა „ფიდო ყაჩაღი“ მალე გავრცელდა მშრომელთა შორის. მისი ლექსები „ფონ-ტეფო“-ს ფსევდონიმით იბეჭდებოდა გაზეთებში „ივერია“, „დროება“, „მოამბე“, „ფიქრი“, „იმედი“ და სხვ.

სტეფანე ხაშურის მუშა რკინისგზელების არალეგალურ მუშაობაშიც იღებდა აქტიურ მონაწილეობას, იგი ეზიდებოდა სადგურიდან სადგურში, სოფ.-სოფელში არალეგალურ ლიტერატურას და აღვიძებდა მშრომელ გლეხობაში და იმ დროის მცირერიცხოვან მუშებში ბრძოლის ინტერესს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. სტეფანე რევოლიუციონური მოღვაწეობისათვის მრავალ გზის დევნილი და დატუსაღებული იყო.

სტეფანე სხვა მოღვაწეობასთან ერთად ხაშურში სცენის ერთი დამაარსებელთაგანია, სცენის კარები მას არ დაუტოვებია უკანასკნელ ავადმყოფობამდესაც კი.

სტეფანე გარდაიცვალა ღრმა მოხუცებულობაში. მას დარჩა უამრავი ნაწერები, რომელთა შერჩევით გამოცემა არ იქნება ინტერესს მოკლებული მუშათა ფართო მასისათვის.

ვ. ს—ძე.

ბიბლიოგრაფია

ეგნატე ნინოშვილი—„სიმონა“. გამომცემლობა „ფედერაცია“, 1932 წ.

„სიმონა“—ეგნატე ნინოშვილის მოთხრობებს შორის ერთი ძლიერი ნაწარმოებთაგანია. „სიმონაში“ მოცემულია მებრძოლი გლეხის ტიპი. სიმონას წინაპრები ჯერ კიდევ ბატონყმობის უღელში გაბმულნი თავიანთ ბატონებს ურჩენენ და თავს იოლად არ აჩაგვრინებენ.

მოთხრობა „სიმონა“ ისეთი კილოთია დაწერილი, რომ ის მკითხველში ამა თუ იმ უსამართლობის წინააღმდეგ არა მარტო აღშფოთებას და პროტესტს იწვევს, არამედ ამ უსამართლობის მოსასპობად თავდადებას და თავგანწირვასაც. მკითხველი იმდენათ აღშფოთებულია რომ მზად არის იარაღი აიღოს ხელში და ჩასცეს მახვილი ამ უსამართლობის ავტორებს. ეგნ. ნინოშვილის ძლიერება სწორედ ამაშია და მისი ნაწარმოებებიც სწორედ ამ მხრივ არის დასაფასებელი.

წაბლის სერში მოსახლე გლეხი ძალაძის ოჯახის ისტორია ბატონყმობამდი და ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ეს არის მთელი გლეხობის ტრაგედიის ეპოპეია. ამ ოჯახმა რამდენჯერმე მოინდომა ფეხის მომაგრება, წელში გამართვა, იმდენჯერვე დაუცდა ფეხი და წაიქცა.

სიმონა თავიდანვე არ მოეწონა მის მეზობელ გავლენიან და მდიდარ გლეხს დავით დოროძეს. დავითი ახალი დროის ბატონია. ხეებით დაიწყო ვაჭრობა, შემდეგ სიმინდზე გადავიდა, ბოლოს საწვრილმანო დუქანიც გახსნა. საკმაო დოვლათი და ქონება შეიძინა. დავითის შვილებიც მამის გზით წავიდენ. სიმონა მათ სიმდიდრესა და დოვლათს ქედს არ უხრის.

ისინი მამასახლისის დახმარებით სიმონას ციხეში გამოამწყვდევენ. ციხიდან დაბრუნებული სიმონა თავის ოჯახს ისევ დაუყენებს ფეხზე და ქალის თხოვასაც განიზრახავს. ამ დროს დავითის თავლას გაუტეხავენ, ლურჯა ბედაურს მოპარავენ. დავითმა აქაც ხელი სიმონას დაადვა. აქ დავითი სიმონასთან კლასობრივ ანგარიშს ასწორებს. მათ შორის მტრობა არ არის შემთხვევითი ხასიათის. ეს კლასობრივი ბრძოლის ერთი გამოხატულებაა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მაშინდელ ეტაპზე. აქ სიმონასა და დავითს ერთმანეთში აჩხუბებს კლასობრივი ინტერესთა წინააღმდეგობა.

მართალი სიმონა ამ საქმეში უსამართლოდ გააბეს და 3 ნახ. წლის ციხე მიუსაჯეს. შემდეგაც არ ასვენებს მას დავით დოროძე. კიდევ დააბრალებს ფოსტის გაძარცვას, კიდევ ციხე, დავითის შვილები მის ოჯახს შეესევიან, ცოლს ნამუსს ხდის, ცოლი თავს იხრჩობს. დაბრუნებული სიმონა კლასობრივი შურისძიების გზას ადგება. ტყეში ფირალად გადის. მის გამაუბედურებელ ტიტიკოს ჩაუსაფრდება და კლავს. დავითის სახლკარს ცეცხლს მისცემს.

გლეხობის ბრძოლას მაშინ ორგანიზაციული ხასიათი არ ჰქონია. სიმონას ესმოდა თავისი ყოვლად აუტანელი მდგომარეობა და იბრძოდა, რომ მისთვის თავი დაეღწია.

წიგნი ხალხური გამოცემაა, მეტად მდარე ქაღალდზეა დაბეჭდილი.

ფ—რი.

ლიტქრონიკა

ავსტრიული გრავიურის გამოფენა

ახლო ხანში თბილისში მოეწყობა ავსტრიული გრავიურის გამოფენა. გამოფენაზე უმთავრესად წარმოდგენილი იქნებიან ვენის თანამედროვე მხატვრები. თბილისიდან აღნიშნული გამოფენა გადატანილი იქნება ბაქოსა და ერევანში.

კ. კოლვიცის სურათების გამოფენა

სექტემბერში თბილისში ჩამოვა ცნობილი გერმანული მხატვარი ქალი კ. კოლვიც, რომელიც მოაწყობს თავის სურათების გამოფენას.

ქაღალდი წალამისაგან

საქართველოს სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო აგებული იქნას ქ. გურჯაანში ქაღალდის ფაბრიკა, რომელიც იმუშავებს ვაზის წალამზე. სპეციალურ კომისიას ამხ. **ტოროშელიძის** თავმჯდომარეობით დავალებული აქვს დაამუშაოს ეს საკითხი.

სომხური ლიტ. ისტორია

სომხეთის განათლების სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა გამოსცეს სომხური ლიტერატურის ისტორია მარქსისტულ - ლენინური თვალთახედვით შედგენილი. მთელი სომხური ლიტერატურის ისტორია დასაწყისიდან დღემდე გამოცემული იქნება სულ 6 ტომად.

ოქტომბრის რევოლიუციის 15 წლის თავზე გამოვა მე-2 ტომი, რომელშიაც გაშუქებული იქნება მე-19 საუკუნის დასაწყისის და მე-80 წლის პერიოდის ლიტერატურა.

ისტორიის შესადგენად მოწვეულნი არიან ლიტერატურის ცნობილი და კვალიფიციური მუშაკები და მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტის ლიტერატურის სექციის ახალგაზრდა თანამშრომლები.

თვითმოქმედი ხელოვნების ოლიმპიადა

პირველი ხუთწლედის წარმატებით დამთავრების და მეორე ხუთწლედის გრანდიოზულ ამოცანების განხორციელებისთვის ბრძოლის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა მასების მხატვრულ თვითმოქმედებას.

თვითმოქმედი ხელოვნება სოციალისტურ მშენებლობის ფრონტზე წარმოადგენს ერთ-ერთ მკვეთრ იარაღთაგანს საწარმოო გეგმების შესრულებისთვის ბრძოლაში. იგი ემსახურება მუშათა მასების სოციალიზმისთვის ბრძოლის კონკრეტულ ამოცანებს. სწორეთ ამიტომ მეორე ხუთწლედის მიჯნაზე მის წინაშე სდგას ამოცანა—შემდგომი გარდაქმნისა, მაღალ პოლიტიკურ საფეხურზე ასვლისა და მთელი თვითმოქმედი ხელოვნების მხატვრული ხარისხის ამაღლებისა.

სწორეთ ამ მიზნით საქ. პროფსაბჭომ გადასწყვიტა ამა წლის 15 ივლისისათვის რესპუბლიკის მასშტაბით ჩაატაროს თვითმოქმედ ხელოვნების ყველა წრეების შემოწმება-ოლიმპიადა.

ამ შემოწმებამ უნდა გამოარკვიოს როგორ ემსახურებოდენ წრეები და როგორ იბრძოდენ ისინი ხუთწლედის უკანასკნელი, დამამთავრებელი წლის გეგმების შესრულებისათვის მე-17 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა და ამხ. **სტალინის** 6 ისტორიული მითითების საფუძველზე. როგორი კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურება გაუწიეს მათ მუშათა მასებს, როგორ შესძლეს მათ შებრუნებულიყვნენ პირით კოლექტივიზაციის ძირითად სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანებისაკენ, კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საქმეში და სხვა.

მხატვრულ კოლექტივების შემოწმება ხდება მუშათა აუდიტორიის წინაშე და თვითეული მათი გამოსვლის შეფასებაში მონაწილეობას იღებენ ყველა დამსწრენი.

საქ. პროფსაბჭომ რაიპროფსაბჭოებს დაავალა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ოლიმპიადის ჩატარებაში, დაამუშაონ გეგმები და ღონისძიებები პროფსაბჭოების პრეზიდიუმების სხდომებზე, ჩაატარონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მუშათა ფართე მასებში თვითმოქმედი ხელოვნების როლისა და დანიშნულების შესახებ სოცმშენებლობის საქმეში.

მათვე დავალებული აქვთ გამონახონ სათანადო სახსრები თვითმოქმედი ხელოვნების ადგილებზე დათვალიერებისა, შემოწმებისა, რესპუბლიკანურ ოლიმპიადაზე წრეების გამოგზავნისა და სხვა ხარჯებისათვის.

ტფილისში რესპუბლიკანურ ოლიმპიადაში მონაწილეობას მიიღებს **27** წრე; ქუთაისიდან, ჭიათურიდან, ტყიბულიდან, ოზურგეთიდან, ზუგდიდიდან, ფოთიდან, სიღნაღიდან და ავტონომიურ რესპუბლიკებიდან.

ოლიმპიადაზე გამარჯვებული წრეების დასაჯილდოებლად გადადებულია 3.000 მანეთი. გარდა ამისა, ოლიმპიადაზე გამარჯვებული ორი წრე გაგზავნილი იქნება ქ. მოსკოვში ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად.

ოლიმპიადის საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად საქ. პროფსაბჭოს კულტსექტორმა გადასდო 10.000 მანეთი.

თვითმოქმედ ხელოვნების ოლიმპიადა არ უნდა დარჩეს საბჭოთა მწერლების ყურადღების გარეშე და მის შემოწმებაში საბჭოთა მწერალთა კავშირმა თავის წარმომადგენლებით უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღოს.

ქ.—ნი.

სარედაქციო კოლეგია:
დ. დემეტრაძე (პ. მგ. რედაქტორი) რ. გვეტაძე (რედაქ. მდივანი) შ. დუდუჩავა, ს. თალაკვაძე, ნ. მიწიშვილი ლ. ქიაჩელი, ნ. ზომლეთელი, ბეს. ჟღენტი.
გამომცემლობა „ფედერაცია“.

ტირაჟი 4.000, გაზ. „კომუნისტი“-ს გამომცემლობის სტამბა, კამოს ქ., № 68. მთავლიტი № 749.